№ 3-67



ყოველ-კვირეული ჟურნალი

№ 20

წელიწადი მეოთხე

ფასი 10 ქაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვეთ კოოპერატიული ფთე

„ლ ი ლ ო“

შერძეგდეთ ამხანაგობა „ლილოს“ თავისი სამდგომლი და ჩვეულებრივი რძით მოიმარაგეთ კარგი ბაზარი და ახლა ეფარეთოგებს თავის საქმეებს, რითაც შეძლება ძეცა მსურველთ მიაწოდოს საუკეთესო რძე ბინაზედ, ცალკე დაბეჭდილ ჭურჭლით.

რძის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებს: რედაქცია „ლილო“ Габаевскій пер. № 3. და ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანთან: Барятинская 5.

ფრანგულ-კავკასიური

საეკონომიო და სამრეწველო ბიურო

„ი ვ ე რ ი ა“

კარიზში

იძლევა ყოველ გვარ ცნობას,

ჩეიდის მიღნეულობას და სხ.

ადრესი: Paris Faubourg Montmartre 10

33(05)
5-67

ᲙᲚᲓᲔ

№ 20

12 მაისი 1913 წ.

ᲤᲐᲡᲘ

მიიღება ხელის მოწერა ერთ 1 წლ., —5 მან. 6 თვ.—2 მ. 75 კ., 3 თვ.—1 მ. 50 კ., 1 თვ.—50 კ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

რედაქცია ღიაა 10—3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „ᲙᲚᲓᲔ“. დეპეშისა: თბილისი ᲙᲚᲓᲔ.

სარჩევი: სასოფლო ბანკები. — **დ. ვაჩნაძისა.** ცოტა რამ საზოგადოება „კახეთის“ შესახებ. — **გ. წინამძღვრიშვილისა.** წარსული, აწმყო და მომავალი ნაზნობისა. — **ალ. ყიფშიძისა.** „ჩემ ბოდიტიკაზე“. — **ნ. ნიკოლაძისა.** ექსპრომტი. — **ი. მჭედლიშვილისა.** ქრონიკა. იდეა ჭავჭავაძის დღე. — **რაესი.** ჭირიანი ქათამი. — **ფარსმან-ფრუხისა.** ქართ.-კახ. თავ.-ეზნ. საქმენი. — **რ. გ—ესი.** წერილი **გ. ორბელიანისა.**

სასოფლო ბანკები

საკრედიტო კოოპერაცია სოფლად დღითი-დღე იზრდება. დღეს საქართველოში ითვლება 200-ზე მეტი სასოფლო ბანკი. მათი მოწყობა-განვითარება ზოგიერთ სოფელში სამაგალითოდაც კი ჩაითვლება.

წვრილ საკრედიტო ამხანაგობათა მთავარმა რევიზორმა ბ. ვასილიევმა, რომელმაც ამას წინად მოიარა საქართველოს სოფლის ბანკები, სთქვა, რომ საკოოპერაციო კრედიტის მოწყობილება საქართველოში, მათი მუშაობა, გლეხთა წევრების შეგნებულობა და სიყვარული საერთო საქმისადმი, რუსეთის წვრილი კრედიტის საქმის მოწყობაში პირველ რიგში სდგასო. ამ ნაირი შთაბეჭდილება გადაჭარბებულად არ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც, უკანასკნელ ხანებში ქართველი გლეხობა მართლაც მიხვდა ამ საქმის სარგებლობის სიდიდეს და საუცხოვო საქმიანობის უნარი გამოიჩინა.

ამხანაგობის კრებებს წევრები მრავლად ესწრებოდნენ, უმეტესი ნაწილი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ბაასში და საერთო კამათის დროს, გამგეობაში შეგნებულად ირჩევდა საუკეთესო ხალხს, სცდილობდა სესხის გატანის პირობები გონიერად შეემუშავებინა და სხვა...

მაგრამ, მიუხედავად ამ სასიამოვნო შთაბეჭდილებისა, ჩვენ საკრედიტო კოოპერაციაში მაინც ბევრი ნაკლი იმალება და ერთ ასეთს თვალსაჩინო ნაკლზე უნდა მიუთითო ჩვენს კოოპერატორებს. ამ ნაკლად ჩაითვლება ქართულ სასოფლო ბანკების ურიკხვო და უმიზნო გამრავლება.

როცა რუსეთში 50—100 სოფელს ერთი სასოფლო ბანკი ჩინებულად უველის, ჩვენში ამ ნაირ ბანკს ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ წააწყდებით; და რადგანაც მათ გამრავლებას არავინ ეღობება წინა, პირიქით სახელმწიფო ბანკი დიდის სიამოვნებით უწყობს ხელსა, მალე იმის მოწმენიც ვიქნებით, რომ ყოველ ქართულ სოფელს თავისი ბანკი ექნება. ეს ფაქტი ბუნებრივად ჩაითვლებოდა ევროპიულ სოფელში, სადაც გლეხის განვითარება, კულტურა, ქონებრივი მდგომარეობა და ხელმოჭერილობა ერთმანეთზედ გადაბმულია და ჰქმნის მკვიდრ საფუძველს ამ ნაირ დაწესებულებათა შენახვისათვის და გაძლიერებისთვის, მაგრამ არა-ბუნებრივია ჩვენში, სადაც 10 სოფელზედ ცოტა ოდნად განათლებული ინტელიგენტი თუ მოიძებნება; სადაც უმეტესმა ნაწილმა გლეხობამ წერა-კითხვაც არ იცის, სადაც მი-

წის მფლობელობა ჯერ-ჯეროობით აწეწილ-დაწეწილია, სადაც კერძო საკუთრებამ კულტურული ფორმები არ შეითვისა, ე. ი. სადაც რაციონალურ კრედიტის მოწყობისათვის ყველგან არ არის მომზადებული საჭირო ნიადაგი. ასეთ პირობებში, შესაძლოა კრედიტმა ბევრჯელ შეშთხვევითი ხასიათი მიიღოს და სარგებლობის მაგიერ ვნება მოუტანოს. უკულმართ ეკონომიურ პირობების გამო, ყველას არ შეუძლიან სესხის აღება, რადგანაც მისი დაბრუნება ბევრს გაუძნელდება. მაშასადამე, შესაძლოა კლიენტი-გლეხი ხშირად ახალ ვალში ჩავარდეს, და ამით თავის თავსაცა ვნებს და ბანკსაცა. მისთვის კრედიტი მავნებელია.

წარმოიდგინეთ ეხლა, რომ დღეს ყველა ქართულ სოფელში ბანკი დაარსდა. მისი არსებობა რა საკვირველია, ყოველ უიმედო გლეხ-კაცს იძულებით ულვიძებს სურვილს გამოიტანოს სესხი, რომელიც ძალიან ადვილად ეძლევა ბანკიდან... უკანასკნელიც წევრების სიტყვით იძულებულია რომ ფული სალაროში არ ეყაროს, მისცეს სესხი იმასაც, ვინც მისთვის მომწიფებული არ არის. ეს ერთ-ურთის ძალ-დატანება კლიენტისა და ბანკისა, აუცილებელი ხდება, თუ დღევანდელ სასოფლო ბანკების გამრავლება ასე უსისტემოდ გაგრძელდება. და თუ ერთმხრივ მეტ გაჭირვებაში ჩავარდება გლეხი, არა უკეთესი მომავალი მოელის თვით ბანკებსაც. კაი ნაწილი მათი დაიკეტება, უმეტესი ნაწილი კი გაიყინება ერთ წერტილზე და მათი ზრდა-განვითარება ყოვლად შეუძლებელი გახდება.

მაგალითად, არიან სოფლები, სადაც ბანკები მარტო 200—300 კომლზედ მუშაობენ და ზედიზედ არიან მიკრულნი. რა რიგად უნდა წაიწიონ წინ, თუ თითო მათგანს 300 კლიენტზედ მეტი არ ეყოლება? რა სარგებელი, ანუ მოგება დარჩება ამ ბანკს, რომ შესძლოს თვისი მოქმედება კარგად მოაწყოს, მოსამსახურენი დაიჭიროს, საჭირო ფონდები გაძლიეროს, საშუამავლო ოპერაციები მოაწყოს, საკუთარი თანხები შეიძინოს და სხვა.

მე ვიცი, მაგალითად, რომ ერთს რაიონში ათი ვერსის მანძილზედ სამი ბანკი არსებობს. ეხლა მეოთხეს დაარსებას აპირობენ.

მათ შორის, ერთი ბანკი პირდაპირ კურიოზულად დაარსდა.

სოფლის მღვდელმა შეიტანა თხოვნა მისი სოფლის მახლობელ ბანკში, 100 მანეთი მომეცით სესხედაო. ბანკის გამგეობამ 50 მანეთის ნება მისცა. მღვდელმა მიმართა მეორე გამგეობას (ორივე ვე ბანკი მღვდლის სოფლიდგან 5 ვერსზედ იყვნენ). მეორემაც 50 მანეთის მეტი ნება არ მისცა. მაშინ ჩვენი მღვდელი გაუწყრა ორივე ბანკს და დაემუქრა- მაშ კარგიო, თქვენი არაფერი მინდა, მე თითონ ჩემს სოფელში ბანკს გავხსნიო. მართლაც ხალხს შეადგენინა შესაფერი თხოვნა, გაგზავნა სახელმწიფო ბანკში და ცოტა ხნის შემდეგ ამობრძანდა ინსპექტორი და მღვდლის მუქარა განახორციელა. ამ ორ ბანკს შუა დააარსა მესამე ბანკიც. სახელმწიფო ბანკს რა ენაღვლებოდა, დიდი სიამოვნებით ასესხა მათ ფული, რადგანაც იცის, რომ იგი არ დაეკარგება და სარგებლითაც დაუბრუნდება.

ასე, ბევრჯელ ფუქსავატურად და ადვილად არსდება დღეს ჩვენში სოფლის ბანკები. ზერელა შეხედვით ეს სიადვილე გვხიბლავს კიდეც. მაგრამ მის სიღრმეში დაფარულია მუქარა ქართულ საკრედიტო კოოპერაციისთვინ.

სასოფლო ბანკების ამნაირ უმიზნო და უსისტემო გაფანტვა, მოიტანს ერთ მხრივ სესხის უსარგებლო გაფანტვას ხალხში და მათ დაცალიერებას და თვით ბანკების საქმიანობის შესუსტებას და დაქვეითებას.

ამიტომ საჭიროა, რომ თითო ბანკის რაიონში შედიოდეს არა ნაკლებ 7—10 სოფლისა, ერთად 1500—2000 კომლით. და იქ, სადაც ესე არ არის, იქ ხსენებული სასოფლო ბანკები უსათუოდ უნდა შეერთდნენ, რომ საერთოდ მოაწყონ და გაძლიერონ თავისი ოპერაციები.

იდეურ მხრითაც ამ ნაირ მოწყობილობას საკრედიტო კოოპერაციისა დიდი მნიშვნელობა ეძლევა. დღეს, როდესაც ქართულ სოფლის კარ-ჩაკეტილობა ცნობილია, როცა ეზობელ სოფლებს ერთმანეთში არაფერი საერთო არა აქვთ რა და ბევრჯელ მტრულადაც ეკიდებიან ერთმანეთს, ამ ნაირი შეერთება ერთ მძლავრ დაწესებულების ფარგლებში, დიდ სამსახურს გაუწევს სოფლის ხალხის ერთმანეთის გაცნობაში ძმურ მიდგომასა და მხრის დაჭერაში საერთო ინტერესების დაცვის დროს.

დ. ვაჩნაძე.

ცოტა რამ საზოგადოება „კახეთის“ შესახებ

უკვე 19 წელიწადია რაც არსებობს კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება „კახეთი,“ და მიუხედავად 19 წლის არსებობისა, მის წევრებს იშვიათად თუ აქვს რომელსაშეს რიგიანი წარმოდგენა, თუ რა არის საზოგადოთ კოოპერაცია და რას უნდა წარმოადგენდეს საზოგადოება „კახეთი“.

დღევანდლამდის „კახეთი“ს მეთაურებს არავითარი ღონისძიება არ უხმარიათ, რომ წევრებისთვის შეეთვისებინებინათ იდეა კოოპერაციისა; არ ცდილან დაენახვებინათ ამხანაგებისთვის, რომ ეს „ამხანაგობა“ რითიმე განსხვავდება რომელიმე ჩარჩისაგან. ამხანაგები განსხვავებ.ს მარტო იმაში პოულობენ, რომ ჩარჩი—სირაჯი საპალნეს იღებს 32 ჩაფით და „კახეთი“კი 30-ით, სამაგიეროდ, თუ სირაჯი მაშინვე უსწორდება მწარმოებელს ხვედრ ფულში, „კახეთი“ იმდენს შრომას ახდევინებს ამხანაგს ფულის მიღებაზედ, რაც მას ღვინის მოყვანა-დაყენებაში არ მოსდომია... მართალიც არის!.. კოოპერატიულ, ვაჭრულ ამხანაგობის მაგიერ „კახეთი“ რაღაც **ქვ ლმოქმედებას** გაჰყვა და უზომო მადის მემამულეთა მეწველ ძროხად და უსაქმოდ დარჩენილ თავად-აზნაურების თავშესაფარად გადიქცა. და სწორედ ამგვარმა საქმის „სიყვარულმა“ საზოგადოება იქამდის მიიყვანა რომ 15—16 წლის არსებობის შემდეგ, მას შემდეგ რაც მას გაუყიდია რამდენიმე მილიონი მანეთის ღვინო და მაშინ როდესაც მას ჰყავს ასობით ამხანაგები 800-ზე მეტი დესეტინა ვენახით, მაშინ როდესაც ის უნდა ბევრ სხვა საზოგადოებას ინახავდეს თავისი შემოსავლით—იგი თხოულობს და იღებს კიდეც დახმარებას თავ.-აზნაურობისაგან.

ესეთი არანორმალური მოვლენა, ჩვენის აზრით. იმისი შედეგია, რომ ამხანაგებში სრულიად არ არსებობდა კოოპერატივის მნიშვნელობის შეგნება და საზოგადო კრებები ხომ განსაკუთრებით ზოგიერთა ჟინიანი ვაჟბატონების სალაყბოდ იყო გადაქცეული. ეს იმიტომ მოხდა, რომ ვაჭრულ მხარესთან ერთად, საჭირო იყო განვითარება იდეური მხარისა და საქმის შეყვარება ამხანაგების მიერ, რასაც არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ,,კახეთი''ს მესვეურნი. ,,კახეთი''ს წესდება კი ნათლად გვიჩვენებს, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს კოოპერატივის იდეური მხარის განვითარება: რჩევა და დახმარება ვენახის საუკეთესოდ დასამუშავებლად, ინსტრუქციები ღვინის დაყენებასა [illegible] ვიდრე იგი მევენახის მარანში რჩება, სახელურნეო პერიოდული ჟურნალის გამოცემა და სხვა და სხვა. დღევანდლამდის კი წევრთ არავითარი კავშირი არა აქვთ არც ერთმანეთს შორის და არც საქმის სათავეში მდგომებთან, გარდა იმისა რომ ერთ-ერთ დანიშნულ ვადაზედ მოვა მიმღები, წამოიღებს ღვინოს და შემდეგ ორმოცჯერ უნდა მოაგონო ფულის მოცემა და... ამას ხომ კავშირი არა ჰქვიან. ამ გვარად კოოპერატიულ საქმის დაწესებამ, არამც თუ ხელი ვერ შეუწყო ამ 19 წლის განმავლობაში წახედულებით მაინც არი, კოოპერაციის განვითარებას ჩვენში, პირიქით მას დიდი ზიანიც მიაყენა: როდესაც ვსურთ განახორციელოთ რომელიმე კოოპერატიული დებულება, მუდამ იმ მოსაზრებას გილობავენ წინ, რომ ,,კახეთი'' საზოგადო საქმეა და აბა რა გააკეთა ამოდენა ხანშიო...

და დიდი ხანია დროა ძირითადი ცვლილება მოხდეს იდეური მხრივ და ამხანაგებმა შეიგონონ კოოპერატივის მნიშვნელობა. ეს კი შესაძლოა მხოლოდ წესდების პრაქტიკულად განხორციელების შემდეგ, მაშინ როდესაც წევრები დაინახავენ რაიმე პრაქტიკულ შედეგს კოოპერატიული საქმის სიკეთისას. ამისათვის კი საჭიროა მთელი საქმის გამოცოცხლება, წევრებთან დაახლოვება და იქვე, ადგილობრივ, კახეთის ცენტრში გადაყვანა როგორც ღვინის საწყობებისა, ისე მთელი გამგებლობისა. მეტადრე კახეთის რკინის გზის დამთავრების შემდეგ ეს აუცილებელი იქნება. ყველა ნათლად წარმოიდგენს, თუ როგორი ,,კომერციული'' მოსაზრება იქმნება, ღვინის საწყობების თბილისში არსებობა; კახეთიდგან აქ ზიდვა და შემდეგ რუსეთში გზავნა, ე. ი. გასამკეცება ხარჯისა. ამიტომ საჭიროა აქედანვე ვიფიქროთ და დავიწყოთ მუშაობა ამ საგანზედ, რათა კახეთის რკინის გზის დამთავრებისას, მზად ვიყვნეთ ,,კახეთი'' კახეთში გადავიტანოთ.

აგრეთვე ძლიერ საჭიროა დღეიდგანვე დაარსდეს ინსტრუქტორთა პუნქტები შიგ კახეთში (ჯერხნობით ერთი, ან უკეთ ორი). ამ ინსტრუქტორთა მოვალეობა იქმნება აღმოუჩინონ რჩევითი დახმარება და გაუწიონ ხელმძღვანელობა ამხანაგებს ვენახის შეწამვლა-დამუშავებაში და ღვინის მოვლა-დაყენებაში. ეს ინსტრუქტორები იმოქმედებენ უფროსი მეღვინის (винодѣлъ) და მათივე წინასწარ შემუშავებულის და გამგეობის მიერ დამტკიცებულის ინსტ

რუქციის თანახმად. სიღნაღის მაზრაში საინსტრუქტორო პუნქტად საუკეთესო სოფ. გურჯაანია, სადაც შეიძლება დაარსდეს კანტორა ინსტრუქტორის და „მიმღებისა“ და სადაც უნდა მოხდეს ახლო მომავალში საზოგადოების მთელი მოქმედების კონცენტრაცია.—ამას გვიკარნახებს თვით კახეთის რკინის გზის მიმართულებაც. თელავის მაზრაში ხომ არსებობს კანტორა და იგივე იქმნება ინსტრუქტორის პუნქტიც. ჯერ-ხნობით, ზედმეტი ხარჯის თავიდგან ასაცილებლად, შეიძლება ინსტრუქტორებსვე დაეკალოთ „მიმღების“ ფუნქციები.

მხოლოდ ამ აუცილებელ ცვლილებას (ინსტრუქტორების შესახებ) საზოგადოების გამგეობამ ეხლავე უნდა მიაქციოს ყურადღება, რათა მისი განხორციელება თუ გამგეობის კომპეტენციას არ შეადგენს, წარუდგინოს მომავალ საზოგადო კრებას.

ყველა ამას გარდ, საზოგადოება მოვალეა უმთავრესად ყურადღება მიაქციოს წევრთა რიცხვის გადიდებასაც და ისეთი ელემენტის მიღებას, როგორიც არიან გლეხები—მცირე მამულის პატრონები, მაგრამ ფრიად დაინტერესებულნი იმაში, რომ კოოპერატიული საზოგადოების საქმენი კარგად სწარმოებდნენ.

უნდა ვიფიქროთ, რომ გამგეობა საზოგადოებისა გაუწევს ანგარიშს თანამედროვე კოოპერატიულ მოძრაობას და განსწავლული წარსული შეცდომებით, რომელთაც, ცოტას გაწყდა, სრულ განადგურებამდე არ მიიყვანეს,—შეუდგება განახლებას და გადახალისებას მთელი მოქმედებისას.

გ. წინამძღვრიშვილი.

წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნობისა*)

IV

რა თვალით უყურებდა ხიზნობას ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა, სჩანს იმ ჟურნალიდან, რომელიც შეადგინა ტფილისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულომ 12 ივლისს 1884 წ. 5 და 14 მაისს. 1884 წ. ტფილისის გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა გროსმანმა მოიწვია თავად-აზნაურნი და სთხოვა, გამოსთქვით თქვენი აზრი, რა-გორ უყურებთ ხიზნობასაო. პირველ კრებას დესწრო 53, ხოლო მეორეს 41 თავად-აზნაური.

როგორც სიტყვიერად, აგრეთვე წერილობით გამოთქმული აზრი მემამულე თავად-აზნაურობისა ხიზნობაზე ფრიად საყურადღებოა და ამისთვის ვეცდებით მოკლედ მოვიყვანოთ შინაარსი მათის ნალაპარაკევისა. 1. **თ. ივანე გივის ძე ამილახვარმა** განაცხადა კრებაზე: რუსების მფლობელობის დამკვიდრებამდე რაც ხიზნები არსებობდნენ, დღეს იგინი აღარ არიან. ზოგი მათგანი მებატონის ყმად გახდა, ზოგი კიდევ სახელმწიფო მამულზე გადავიდა და სახელმწიფო გლეხებში ჩაეწერა. ვისაც დღეს ხიზნებს უწოდებენ, ხიზნები კი არ არიან, როგორც ძველად ესმოდათ ეს სახელ-წოდება, არამედ მოჯარადრენი; მიუხედავად იმისა, აქვთ ამათ რაიმე პირობანი, თუ არა აქვთ. დასამტკიცებლად თ. ამილახვარმა კრებას წარუდგინა 50 წლის წინად დაწერილი პირობანი, სადაც პირდაპირაა ნათქვამი, რომ გლეხებს მამული აუღიათ იჯარით. უსამართლობა იქნება, რომ ხიზანი დავარქვათ იჯარადარს იმის მიხედვით, რომ მამულსა ჰქირაობს შინაურ პირობის, ან ნოტარიუსთან დაწერილის ქაღალდის ძალით, ან იმის საფუძვლით, რომ არ ავითარი პირობა არა აქვს. სასურველია, რომ ხიზნებს თავი დავანებოთ და ისე იცხოვრონ, როგორც აქამდისინ უცხოვრიათ. თუ საჩივარი ასტყდება, სადავო საქმის გარჩევა მივანდოთ სასამართლოს. ამ გზით თუ ვივლით, თავისთავად ბოლო მოეღება ყოველგვარ დავას და საჩივარს. უკეთუ აღმოჩნდება ისეთი ხიზანი, რომელიც ხიზნურად სცხოვრობს საქართველოს მეფეთა დროიდან, მაშინ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ასეთს ხიზანს ნადელად მიეცეს ის მიწა, რომელიც ხელში უჭირავს.

2. **თ. ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი** *): ხიზნობა გაჩნდა იმ დროს, როცა ათასი ვაი-ვაგლახი და უბედურობა თავს ატყდებოდა ქვეყანას. მაშინ გლეხ-კაცი იძულებული ხდებოდა აყრილიყო ბინიდან, სხვას შეჰკედლებოდა და ახალი პატრონ-მფარველი ეშოვნა. მარტო ასეთი მოსიარულენი იწოდებოდნენ ხიზნებად და არა ისინი, ვინც მამულს ჰქირაობდა და იჯარით იღებდა. თუ ხიზანი თავის ნება-სურვილით აიყრებოდა, ქონების ნახევარს მამულის პატრონს აძლევდა, ხოლო თუ მამულის პატრონი აჰყრიდა, რაზედაც სრული უფლება ჰქონდა,

*) იხ. „კლდე“, №№ 13, 15, 16, 17, 18 და 19.

*) ცნობილი პოეტი და მომრიგებელი შუაკაცი.

ასამხდურსა და ჯილდოს არ აძლევდა ხიზანს და ყველაფერი ხიზნის მიერ შეძენილი ბატონს რჩებოდა. 3. **თ. მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირაჯიბა.** არაფერი მნიშვნელობა არა აქვს საქმისთვის, დაუძახებთ ხიზანს იჯარადრს, თუ არ დაუძახებთ. ერთად ერთი უფლება აქვს ხიზანს— სადაც უნდა იქ წავა. მებატონეს კი, როგორც მამულის პატრონს და მესაკუთრეს, უფლება აქვს აჰყაროს თავის მამულიდან ხიზანი, როცა კი მოისურვებს. საჭირო არ არის ნადელის მიცემა ხიზნისათვის, ნება უნდა ჰქონდეთ ხიზანსა და მამულის პატრონს მორიგდნენ ერთმანეთში, როგორც თვითონ მოისურვებენ. გამიჯვნისას გაბნეულმა მულის შესაკრებად მებატონე 4—5 დესეტინას აძლევდა ერთს დესეტინაში. ასე რომ გამიჯნულ მამულის მიცემა ხიზნისათვის ნადელად საკუთრების ჩამორთმევას ეგვანება, ან იმ უფლების დარღვევას, რაც კანონითა აქვს მინიჭებული მამულის პატრონ მებატონეს. 4. **თ. ირაკლი კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი.** ვალდებულება და გადასახადი ხიზნისა ისეთივე იყო, როგორც ნაყ. კაცისა. თუ ხიზანი გაეცლებოდა მამულის პატრონს თავის სურვილით, მთელი მისი ქონება ბატონს რჩებოდა, უკეთუ ბატონი დაითხოვდა, მაშინ ბატონი ვალდებული იყო ასამხდური მიეცა შენობისა და აენაზღაურებინა ხარჯი მამულის გაკეთებისა. თუ ხიზანი კამერალიის აღწერაში მოექცეოდა, მაშინ ხიზანს უფლება აღარ ჰქონდა წასულიყო სახიზნო მამულიდან და ველარც თვით ბატონი დაითხოვდა. მუხრან-ბატონს საჭიროდ მიაჩნია, რომ მომრიგებელმა შუაკაცებმა შეადგინონ სია ხიზანთა და დაჰყონ იგინი ორ ჯგუფად. ერთში მოაქციონ ისინი, ვისაც წერილობითი პირობანი უჭირავს, ხოლო მეორეში ისინი, ვისაც არავითარი პირობანი არა აქვს. 5. **დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი.** ხიზნობა ნაყოფია უმამულობისა და მრავალგვარია. სახიზნო ურთიერთობანი მეტის-მეტად არეულ-დარეულია შეუწყნარებელია არსებობა მრავალ-ფეროვან ხიზნობისა. ძველი ხიზანი აღარ არსებობს, გაჰქრა იგი. დღევანდელ ხიზანს საკუთრებად უნდა გარდაეკეს ის მამული, რაც ხელში უჭირავს. ხოლო უნდა განისაზღვროს რაოდენობა, რაზე მეტის მიცემა არ შეიძლება ნადელად. მებატონეს უნდ მიეცეს ღირებულება სახიზნო მამულისა და ასამხდური იმისა, რაც ზარალი მოუვა ხიზნების ჩამორთმევით. ერთხელ დადებული გადასახადი ხიზნისა არ იცვლებოდა და მებატონეს უფლება არა ჰქონდა დაეთხოვნა ხიზანი. უკანასკნელ დროის ხიზნების აყრა ბოროტ-მოქმედებაა და არა უფლება მებატონისა. თუ ხიზანი თავის სურვილით შორდებოდა ბატონს, თან მიჰქონდა მოძრავ ქონების გარდა შენობებიც. 6. **ალექსი ანდრიას ძე კვალიაშვილი.** ჩვეულობის ძალით სარგებლობდა ხიზანი მამულით და იხდიდა გადასახადს, რომელსაც ვერ შესცვლიდა მებატონე, თუმცა უკანასკნელს შეეძლო დაეთხოვნა ხიზანი, როცა ამას მოისურვებდა. 7. **თ. დავით ზაალის ძე ბარათაშვილი.** უმამულო გლეხნი, რომელნიც სხვისა მამულით სარგებლობენ, იჯარადრები არიან. მებატონეს უფლება აქვს დაითხოვოს ხიზანი, ხიზანს კიდევ შეუძლიან, როცა უნდა მაშინ წავიდეს. წასვლისას ხიზანი ნახევარ ქონებას ბატონს აძლევდა. თუ ბატონი დაითხოვდა მაშინ მთელი მოძრავი ქონება ხიზნისა იყო. რადგან ასაშენებელი მასალა მემამულისა იყო, მემამულე მარტო შრომის ფასს აძლევდა აყრილ ხიზანს 8. **ლუარსაბ ალექსანდრეს ძე მაღალაშვილი.** თანახმაა თ. ვახტანგ ორბელიანისა, ხოლო ის დაუმატა, რომ ხიზანს არავითარი ქონებრივი უფლება არა ჰქონდაო. ეს იმითი მტკიცდებაო, რომ თანახმად ვახტანგ მეფის კანონებისა, თუ ხიზანი დარჩებოდა ბატონის მამულში ოცდაათი წელიწადი, ასეთი ხიზანი ყმად შეირიცხებოდა ხოლმეო. 9. **თ. ზაქარია ევსევის ძე ანდრონიკაშვილი.** ხიზანი ისაა, ვისაც არც პიროობა უჭირავს და არც გრამოტაში მოჰყვა. ბატონს შეეძლო დაეთხოვნა ხიზანი, როცა მოისურვებდა. აყრილს ხიზანს აძლევდა შენობის ღირებულობის ნახევარ ფასსა. თუ ხიზანი თავის ნებით მიდიოდა-თავის ქონების ნახევარს ბატონს მიართმევდა. ამის გამო ნება უნდა მივცეთ ხიზანს და ბატონს, თვითონ მორიგდნენ ერთმანეთში და განსაზღვრონ გადასახადი გრძელის ვადით. მაგრამ თუ საჭიროდ სცნობენ, რომ ხიზანს ნადელი უნდა მიეცესო, მაშინ სანადელოდ მიუზომოთ ნახევარი „სამკვიდრო ნადელისა“*) (коренной надѣлъ), ესე იგი ორდღიურ ნახევარი და სახლკარი. უფლება ნადელის მიღებისა მიენიჭოთ იმ ხიზნებს, ვინც ხიზანთა ჩვეულებით და წესით სცხოვრობდა საგლეხო რეფორმამდე (1864 წლამდე), ხოლო მცირე მამულიანი მებატონენი უნდა გავანთავისუფლოთ ასეთის ვალდებულებისაგან. 10. **თ. ნიკოლოზ თადეოზის ძე ჩოლაყაშვილი.** ხიზანს ვერ ვეტყვი იმას, ვინც პირობით სცხოვრობს სხვისა მამულზე. ბატონს უფლება ჰქონდა დაეთხოვნა ხიზანი, მაგრამ ასამხდუ-

*) ტერმინი თ. მ. ბ. თუმანიშვილს ეკუთვნის.

რიც უნდა მიეცა დათხოვნილისთვის. უკეთუ ხიზანი თავის სურვილით აიყრებოდა, მაშინ მთელი მისი ქონება ბატონს რჩებოდა. 11. **თ. აბელ ჩოლაყაშვილი.** ძველი ხიზანი, რომლის შესახებ ვახტანგის კანონებში არაფერია ნათქვამი, აღარ არსებობს. თავისუფალი წოდების კაცნი, რომელნიც მებატონეთა მამულებში დასახლდნენ და ქირით იღებენ სახნავ-სათესს, ხიზნები არიან. მარტო ის, რომ ზოგს მათგანს სადმე საკუთარი მამული აქვს და ზოგს არა, ზოგს პირობა და ზოგს კი არა, არაფერსა მტკიცებს, ყველანი ხიზნები არიან. საგლეხო რეფორმამდე ერთხელ დადებული სახიზნო გადასახადი აღარ იცვლებოდა. გადასახადის გადიდება დაიწყო რეფორმის შემდეგ, რადგან რეფორმამ ძალიან შეამცირა ნივთიერი ძალა მებატონეებისა. არც ხიზანი ანებებდა თავს მებატონეს და არც უკანასკნელი აგდებდა ძალით ხიზანს; ხიზანი არ მიდიოდა მებატონის მამულიდგან, რადგან სახეიროდ მიაჩნდა ხიზნად ყოფნა, ბატონიც უფრთხილდებოდა ხიზანს, რადგან სარგებლობას და ხეირს ხედავდა. რად გააგდებდა ბატონი ხიზანს, როდესაც ზარალის მაგიერ ხეირი ჰქონდა. დათხოვნის მაგიერ კალთებს აგლეჯდა ბატონი ხიზანს, ჩემთან დარჩი და ნუ აიყრებიო. ხიზნის წასვლით ბატონს დიდი ზარალი მოსდიოდა და ამ ზარალის ასამხდურად მთელ თავის ქონებას ხიზანი ბატონს აძლევდა. საჭიროა ვიზრუნოთ ყველა ხიზნებზე, რადგან მამული აკლიათ. ხიზნობა არსებობდა და იარსებებს და ამისათვის საჭიროა, რომ დავადგინოთ თვითოეულ რაიონისათვის განსაზღვრული გადასახადი. განსაზღვრა გადასახადისა იქ უნდა მოხდეს, სადაც ნებაყოფლობით ვერ შეთანხმდებიან გადასახადის რაოდენობაზე ხიზანი და ბატონი. განსაზღვრა გადასახადისა ნადელის მიცემის დროს იმისათვისაა საჭირო, რომ ბევრს ადგილს ხიზნ.მცირე ნაწილს დიდი მამული უჭირავთ (რუსულად: огромныя мѣста) და მამულის პატრონები შევიწროვდებიან. 12. **თ. იოსებ ციციშვილი:** გამოსარკვევია ის, თუ რა უფლება აქვთ ბატონებს და ხიზნებს და როგორ გავაუმჯობესოთ ხიზნების ყოფა-ცხოვრება. ხიზნობა არსებობს და ბლომადაც არიან ხიზნები. ისტორიული ხიზნები, რომლის შესახებაც ლაპარაკობდნენ ზოგიერთნი, აღარ არსებობენ. ისინი 1809 წლამდე ყმებად ჩაირიცხნენ. ახალ ხიზნებად ისინი უნდა ვიცნოთ, ვინც დასახლდნენ ან 1832 წლამდე, ან 1864 წ. საგლეხო რეფორმამდე. ზოგი იმ აზრისაა, რომ ნადელი უნდა მიეცეს ხიზანსაო, მაგრამ ვინც ამას ამბობს, ის ნადელს ვერ მისცემს, რადგან ან სულ არა აქვს მამული, ან თუ აქვს ძრიელ ცოტა, ან ხიზნები არა ჰყავს. ციციანთ გვარი დიდ [illegible] თავადიშვილებად ითვლება და ხიზნებიც ბლომადა გვყავს (60 კომლზე მეტი). სახნავ-სათესი მიწები ციციანთი, თითქმის ნახევარი, დროებით-ვალდებულებს მიეცათ ნადელად. ერთი მეოთხედი, ან მეხუთედი ხიზნებს უჭირავთ, ასე რომ ციციაანთ მარტო ერთი მეოთხედი-ღა რჩებათ სახნავ-სათესი მამული. ციციანთ ხიზნებს რომ ნადელი მიეცეს, მაშინ თვით ციციშვილები შეიქმნებიან ხიზნებად. ამ მოსაზრების ძალით არ შეიძლება ხიზნებისთვის ნადელის მიცემა. ხიზნებმა მორიგებით უნდა გაათავონ საქმე მებატონეებთან. შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთი მებატონენიც, რომელნიც მიჰყიდიან ხიზნებს მამულსა, მაგრამ ამისათვის დრო და ჟამია საჭირო.*) მანამდის კი ხიზნებს უნდა ჩ ა ა გ ო ნ ო ნ, რომ არავითარი უფლება არა აქვთ მამულზე. 13 **თ. ამ. რინდო ამირინდოს ძე ამილახვარი.** ძველებური ხიზანი აღარ არსებობს და თუ დარჩნენ სადმე, იმათი ბედი უნდა მოვაწყოთ და უზრუნველ ვყოთ მამულით. დანარჩენ ხიზნებისთვის, რომელსაც იჯარადრებად ვაღვიარებ, გადასახადი უნდა გაუჩინოთ ვადით სხვა და სხვა რაიონში. ვადის გათავების შემდეგ უფლება უნდა მიეცეთ, რომ ნება-ყოფლობით და შეთანხმებით გაათავონ საქმე მებატონეებთან. 14. **კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რეიტერი.** ხიზნები წინადაც არსებობდნენ და დღესაც არიან. ხიზანთა საქმე სალაპარაკოდ გახდა ნამესტნიკის ცნობილ ცირკულიარის შემდეგ, როცა, გამოუკლებლივ, ყველა იჯარადარმა თავის თავს ხიზანი უწოდა. შეუძლებელია ყველა ხიზანი ერთს კატეგორიაში მოვაქციოთ. საჭიროა გამოვიძიოთ, ვინ როდის დაბინავდა სხვისა მამულზე და ხიზნად ის ვიცნათ, ვინც დასახლდა სხვისა მამულზე საგლეხო რეფორმამდე. ხიზნების დარჩენა დღევანდელ ყოფაში შეუძლებელია, მაგრამ არც ნადელის მიცემაა შესაძლებელი, მით უფრო რომ საგლეხო საქმეთა ყოფილმა კომიტეტმა არ შეიწყნარა ხიზნებისთვის

*) ძველ ქართველს თავადიშვილს ფიქრადაც არ მოსდიოდა 30 წლის წინად მამულის გაყიდვა. „დრო და ჟამი" დადგა უკვე. დღეს სურათი შეიცვალა. მამული ხურმასავით გაიაფდა და ბარს ვინღა სჩივის, ლამის კარმიდამოებიც გავყიდოთ.

ნადელების დარიგება.*) მაშ ისღა დაგვრჩენია, რომ მთავრობამ იკისროს მათი ბედის მოწყობა. ზოგისთვის იყიდოს მთავრობამ მამული და დაასახლოს; ზოგნი გადაასახლოს სახელმწიფო მამულზე, ზოგს კიდევ ასესხოს ფული მამულის საკუთრებად შესაძენად. ამასთანავე ხიზანს უნდა მიეცეს ჯილდო სახლკარისა და იმ შრომისა, რაც სხვისა მამულზე გაუწევია. 15 **თ. ივანე გიორგის ძე მაჩაბელი.** სწამს და იწყნარებს ხიზანს, მაგრამ ვისაც პირობაში ნათლად და მკაფიოდ უწერია სიტყვა „იჯარა", იმას ხიზნად არ იწყნარებს. მთავრობას ჰსურს გააუმჯობესოს ხიზანთა ყოფა-ცხოვრება და მესაკუთრეებად გახადოს, ამისათვის თავ.-აზნაურობის უმრავლესობა უარს არ ეტყვის მთავრობას, რომ მისცეს ხიზანს ნადელი. რაკი გარდასახადი განსაზღვრული იქნება სამუდამოდ, მაშინ ისიც იქნება შესაძლებელი, რომ ხიზანმა დაიხსნას ნადელი მთავრობის დახმარებით. ამ ნაირადაც შეიძლება საქმის გათავება, მოწესრიგდეს ხიზანთა გადასახადის საქმე ისე, რომ ხიზნებმა იხადონ გადასახადი იმავე ზომისა და რაოდენობისა, როგორსაც იხდიან დროებით-ვალდებულნი. იქ, სადაც ხიზნებს დიდი მამული უჭირავთ და დროებით-ვალდებულებზე ნაკლებს იხდიან, დაწესდეს, რომ აძლიონ იმდენი გადასახადი, რამდენსაც იხდიან მეზობლად მცხოვრებნი გლეხნი. მცირე მამულიან მებატონეს უფლება უნდა ჰქონდეს გადაასახლოს ხიზანი თვისის სურვილისამებრ; ხიზანს უნდა მიენიჭოს უფლება გადასახლდეს, როცა კი მოისურვებს, ხოლო ვიდრე გადასახლდება უნდა იხადოს მოსავლის მეოთხედი. 16. **თ. ლევან გიორგის ძე ჯანდიერი.** ხიზნებისა და მამულის პატრონთა უფლება შეიძლება ორის სიტყვით გამოიხატოს: ერთმანეთი არ შეაწუხონ და ხელი არ შეუშალონ. ხიზანს უნდა შეეძლოს აიყაროს, როცა მოისურვებს. ბატონსაც უნდა უფლება ჰქონდეს აჰყაროს ხიზანი, როცა ინებებს. თიანეთის მაზრაში საკმარისადაა ხიზანი და ზემოდ ნაჩვენები უჯლება დიდი ხანია არსებობს და დღესაც ამ უფლებით ხელმძღვანელობენ. 17. **თ. ივასილი გიორგის ძე მაჩაბელი.** მებატონე ცოლულუფლებიანი ბატონ-პატრონი იყო მამულ-დედულისა და ჰქონდა უფლება ხიზნის აყრისა. წარმოუდგენელია შეზღუდვა ასეთის უფლებისა. 18. **თ. იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილი.** ხიზანთა საქმის გათავება იმ სახით, როგორც ზოგიერთი თავად-აზნაური ჰფიქრობს, ნახევრად საქმის გაკეთება გამოვა. თუ სახიზნო საქმე ჯერ არ მომწიფებულა გადასაწყვეტად, თავი უნდა დავანებოთ მის გადაწყვეტას. მაგრამ რაკი მთავრობამ წამოაყენა ეს საქმე, სჩანს იგი მომწიფებულია და მაშასადამე საჭიროა მისი საბოლოოდ გადაწყვეტა. საქმის გადასაწყვეტად საჭიროა, რომ შევაფასოთ მამულები მაზრობრივ და დავაწესოთ ნადელი იმ ზომისა, როგორიცაა მიღებული დროებით ვალდებულთათვის და მივცეთ უფლება ხიზნებს დაიხსნას მამული მთავრობის დახმარებით, თუ მამულის პატრონი უარს არ იტყვის. უკეთუ მამულის პატრონი ნადელის მიცემაზე უარს განაცხადებს, მაშინ მისი ხიზნები გადაასახლონ სახელმწიფო მამულზე, ან ხაზინამ მოუცვალოს სახიზნო მამული სახაზინოზე. თ. შალიკაშვილი დარწმუნებულია, რომ ბევრნი მამულის პატრონნი, გაცვლა-გამოცვლის მომხრენი იქნებიან. სახელმწიფო მამულიც ბლომად მოიპოვება, რადგან გამიჯვნის დროს სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ ყველგან (რუსულად: повсемѣстно) დავა განაცხადა და ამ დავათა მომეტებული ნაწილი ხაზინის სასარგებლოდ დასრულდაო. 19. **იაკობ სვიმონის ძე პავლიაშვილი:** ხიზნებად სცნობს იმ გლეხებს, რომელნიც დაბინავდნენ სხვისა მამულზე საგლეხო რეფორმამდე. მებატონეს უფლება არა ჰქონდა, მოემატებინა გადასახადი. გადასახადის მომატების შესახებ საჩივარს სწყვეტავდნენ მედიატორენი. მებატონეს შეეძლო დაეთხოვნა ხიზანი, ხოლო შენობის ასამხდური უნდა მიეცა აყრილ ხიზნისთვის. 20. **თ. სვიმონ ნიკოლოზის ძე ვეზირიშვილი:** ბევრგან, დასავლეთ ევროპაში, სასარგებლოდ მიაჩნიათ მამულის შემუშავება საიჯარო წესით. ხიზნების შესახებ ეთანხმება თ. ნიკ. ორბელიანის აზრს.*) 21. **თ. გიორგი ივანეს ძე ყიფიანი** **):

*) ცირკულიარი, რომელიც ახსენა რეიტერმა, არის ზემოდ მოხსენებული სენატორ კლუბინის ცირკულიარი 1876 წლ. № 301. კომიტეტის ჟურნალი ამ საგნის შესახებ შედგენილია 17 ოკტ. 1866 წ. კომიტეტმა არ შეიწყნარა აზრი ტფ საგლეხო საქმეთა საკრებულოსი ხიზნებისთვის ნადელის მიცემაზე იმ მოსაზრებით, რომ სამუდამო დროებით ვალდებული ურთიერთობა არ შეეფერება თავისუფალ წოდების კაცთა უფლებებს, ესე იგი ბატონისას და ხიზნისასო. მეორე მოსაზრება ისაა, რომ ნადელის იძულებით დახსნის დროს მთავრობა დახმარებას აძლევს დროებით ვალდებულს. ასეთს დახმარებას მთავრობა ვერ გაუწევს ხიზანს, როგორც არა დროებით-ვალდებულს.

*) ნიკ. ორბელიანის აზრი მასალებში არ არის მოყვანილი.

**) ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სიაში ყიფიანები თავადებად არ იხსენებიან.

მომეტებული ნაწილი ხიზნობისა მოსულია იმერეთიდან და ოსეთიდან. ამათ ძველ ბინაზე ნადელები აქვთ. ესენი ხიზანთა სიიდან უნდა ამოვშალოთ. დარჩება მცირე ნაწილი ხიზნობისა, რომელიც ვალდებულია მორიგებით და შეთანხმებით დაიჭიროს საქმე მამულის პატრონებთან. თუ ვერ მორიგდებიან, მაშინ უნდა წავიდნენ საბატონო მამულიდან. გადასახლებულ ხიზანს მთავრობამ უნდა მისცეს საბინაო მამული. გადასახლებულს მებატონემ უნდა აუნაზღაუროს შენობის ხარჯი, თუ მასალა შენობისა მუქთად არა აქვს მიღებული ბატონისაგან. 22. **თ. ალექსანდრე ზაალის ძე ჩოლაყაშვილი** თანახმად საგლეხო კანონთა მე-8 მუხლისა ხიზნები დარჩნენ სახიზნო მდგომარეობაში. დავა-საჩივარი ირჩევა ჩვეულების მიხედვით. ჩვეულება კი ასეთი იყო: ხიზანს უფლება ჰქონდა აყრილიყო სხვისა მამულიდან, როცა უნდოდა და მოძრავ ქონების ნახევარს მებატონეს უთმობდა. ბატონსაც ჰქონდა უფლება დაეთხოვნა ხიზანი, ხოლო აჯილდოვებდა ხიზანს ქონების იმ ნახევრისთვის, რომელიც რჩებოდა ბატონს ხიზნის აყრის შემდეგ. მაშასადამე ასეთი წესი უნდა დარჩეს მომავალშიაც; ესე იგი ხიზნებს შერჩებათ უფლება წასვლისა. მებატონეებს კი აყრისა და დაჯილდოვებისა ამ წესებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როცა ლაპარაკია იმ ხიზნებზე, ვინც დაბინავდა 1864 წლამდე. დანარჩენი ხიზნები ჩვეულებრივ იჯარადრებად უნდა ჩავთვალოთო.

აი ასე ბჭობდა და ფიქრობდა ქართველი ინტელიგენცია ამ ოცდაათის წლის წინად ხიზანთა საქმეზე. თითქმის ყველანი ასახელებენ ძველს, ისტორიულ ხიზანს, რომელიც თურმე გამქრალა და ალარ არსებობდა არამც თუ 1884 წელს, არამედ საგლეხო რეფორმის დროსაც. მეორე კატეგორიას ხიზნობისას ისინი შეადგენენ, ვინც დაბინავებულა 1864 წლამდე. მოთათბირე მამულის პატრონნი დიდის ლმობიერებით ეპყრობიან ამ კატეგორიის ხიზნებს. მაგრამ მესამე კატეგორიის ხიზნებს, იმათ, ვინც საგლეხო რეფორმის შემდეგ დასახლდნენ, ამრეზილი უცქერიან, თითქმის მტრად მიაჩნიათ იგინი და მათთვის არავითარი სიკეთე არ ემეტებათ. თავად იოსებ ციციშვილმა ტყუილად კი არ ახსენა, რომ საჭიროა მთავრობამ **ჩააგონოს** ხიზანს არავითარი უფლება არა გაქვს მამულზეო. ახალ ფორმაციის ხიზნებისკენ გაისროლა თ. იოსებმა გოროხი, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია, მთავრობა საგონებელში ვერ ჩააგდო.

გუბერნატორ გროსმანს მიართვეს წერილობითი აზრი შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა გადასწყდეს ხიზანთა საქმე, დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანმა, ალექსი კვალიაშვილმა, თ. ამირინდო ამირინდოს ძე ამილახვარმა, ტფილისისა და გორის მაზრების 23 მამულის პატრონმა და მებატონემ, სიღნაღის მაზრის მემამულეთა ერთმა ჯგუფმა, თიანეთისა და თელავის მაზრების მომრიგებელმა შეკაცმა თ. ჯორჯაძემ, თ. ნიკოლოზ თადეოზის ძე ჩოლაყაშვილმა და ილია ჭავჭავაძემ.

წერილობით მოხსენებათა ავტორნი [illegible] ილია ჭავჭავაძისა თითქმის ისეთივე [illegible] არიან ჩვენს ნიადაგზე აღმოცენებულ ხიზნობისა, როგორათაც სიტყვიერად მოლაპარაკენი და მოთათბირე მრჩეველნი. ესენიც ერთხმად ამბობენ, რომ ძველი, ისტორიული ხიზანი გაჰქრა, გაწყალდა ბატონ-ყმურ ცხოვრებაშია, ლმობიერად იხსენიებენ იმ ხიზნებს, ვინც 1864 წლამდე დაბინავდა, ხოლო ამ დროის შემდეგ გამოჩეკილ ხიზნების ბედს სხვა და სხვა ნაირად სწყვეტამენ. საქმის საკითხით გასანათებლად საჭიროდ მიგვაჩნია მათი აზრიც მოვიყვანოთ შემოკლებით. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის აზრს, ეს კი ვრცლად იქნება შემდეგში გარკვეული. მთავრობას წარუდგინეს მოსაზრების გარდა თვით კანონის პროექტებიც მარტო ილიამ და დავით ყიფიანმა. საყურადღებოდ მიგვაჩნია აგრედვე გამოვარკვიოთ დაწვრილებით, თუ რას ნიშნავს „ძველი ისტორიული“ ხიზანი, რომელსაც ყველანი ახსენებენ.

ალ. ყიფშიძე.

(შემდეგი იქნება).

P. S. ამ წერილების ბეჭდვის დროს ხშირად გვეპარება კორექტურული შეცდომები. ვეცდებით შემდეგში გავასწოროთ, თუ ცალკე წიგნად დაიბეჭდავთ ამ წერილებს.

ჩემ პოლიტიკაზე*)

(გაზეთ „იმერეთის“ საპასუხოდ).

ნ. ნიკოლაძე

მოკლედ გაიმბობთ ჩემი დროის ქართველ მოღვაწის გასაჭირს: იქრება მაგ მომავლის საქმე გაადვილდეს.

*) ამ სათაურით მოგვიანდა წიგნი ცნობილ ქართველ მოღვაწისა და პუბლიცისტისა ბ-ნ. ნ. ნიკოლაძისა. მისი გამოსვლა გამოწვეულია ბ. ურუს წერილებით ნიკოლაძის შესახებ გაზ. „იმერეთში“, რომელსაც, სამწუხაროდ, უარი განუცხადებია მის დაბეჭდვაზე. ამ წიგნის ფრიად საყურადღებო შინაარსი ახასიათებს დღევანდელ ქართულ სოციალისტურ ჯგუფების აზროვნებას და მათ პოლიტიკას. მასთან ერთად შეტანილია ჰფენს ქართულ რეალურ პოლიტიკის მომავალ მოქმედებასა. ვბეჭდავთ ერთ საინტერესო ნაწილს ქართველ მწერლის აღსარებისას... (რედაქცია „კლდე“).

მთქმელს გამგონი უნდა. როცა ჯერობანი ურთიერთობა არ მყარდება ორ მხარეს შუა, წვალებას გაცლა სჯობს. ნამეტანი ჟიმეცადინე მწერლურ ასპარეზისთვის მზადებაში. ამ მიზეზით მიჭირდა და ახლაც მიჭირს საერთო ხორცისთვის ბანის მიცემა. როცა ქართულ მწერლობაში გავები, მის თარს მარტო ერთი სიმი გაბ, შიგ მარტო ერთი, დიახ სწორი, მაგრამ ერთობ ცალმხრივი, დედა-აზრი სუფევდა. ჩვენს განვითარებაში ის (კეისრისა კეისრისა) 1830 წლის მოძრაობას შეშოეტანა და გრიგოლ ორბელიანს დაემყარებია: დედა-ენის დაცვა. 1860 წ. მოძრაობამ ამ საქმეს ახალი მსახურები მიაშველა: სტამბა, შკოლა, სახელმძღვანელო. ჩემმა დამზადებამ დედა-ენა მიზნად კი არა, მარტო ერთ იარაღთაგანად მაჩვენა ერის კეთილდღეობისა. მესმოდა, არა მარტო ენით იკვებება ხალხი. ქართული ენა სისრულით ხელო-ეწერა ჩვენს ერს, რაც მეთქვა მეტე. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში თითოეულად შემოეცალა ყოველივე ის, რაც ერთვნებას შეადგენს. მაშ არც მარტო ენა აღადგენს ამ ერთვ. მეთქი, ვფიქრობდი. საჭიროდ ვთვლიდი შეშეძრა ის ცხოველ-მყოფი ძალები, რომლის მოქმედება და ურთიერთობა ერს ზრდის, ამაღლებს, აძლიერებს. შევეხე ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობასა, მიწის-მფლობელობას და თვით-მართველობას. ძველი მოდგმაწეების ნაშრომის შესწავლამ ნება მომცა მკვდრეთით აღმედგინა ბობოლებისგან დამარცხებული და დამარხული საქმეები და მოქმედი პირები, მაგალითად ეგელასგან ერთიანად დავიწყებულ საადგილ-მამულო ბანკები. ბ. გიორგი ფაზბეგს ჩვითხეთ (დამფუძნელთაგან ახლა მეტი არავინ მეგულება ცოცხლებში), რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა 1871—1873 წწ., რამდენ უმაწვილს, რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ იდია ჭავჭავაძისთვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვეღებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგვედო, ბანკი განახლების ბანაკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებია. თბილისის ქალაქის თავად სიმხების დიმ. ეთეირი ავარჩევინეთ. ქუთაისს, გრ. ლევაშოვთან აუწერელი ბრძოლის შემდეგ, თვით-მართველობა შემოვადებინეთ. ქართველობის ასპარეზი ხუთიოდე წელიწადში უცნობად გავათართოგეთ რასაკვირველია, ახალი საქმეების აღძვრას მოჰყვა შეტაკება სხვა და სხვა აზრებს, ინტერესებს, თავმოყვარეობათა შორის. ეს „ალიაქოთი“ სულ მე დამბრალდა. ვინც დედა-ენის მეტს არას იცნობდა, დამეძურა ძალას უსარგებლო საქმეებზე გვათლანგიენებსო, შკოლის მეტი არა გვჭირია რაო. ეჭვლა ეს ხიზნის, ბანკის, თვითმართველობის საქმეები ქართულ ერთობას არღვევენო. გაგონილა ქართველობაში ასეთი შეთითი? გამოგვდ „შინაურ მტრად.“

დაგდუნე თავი, მოგშორდი ქართულ მწერლობას. მუდამ ერთ სიმზე ულერა ვის არ მოუბეზრდება? ვეიეიქრე: შინაურ ბრძოლას სჯობს სხვა საბრძოლველ-მოვიძებნო მეთქი. რაკი უმეტესი ნაწილი ამ საქმეებისა, რომელზედაც ჩვენი ქვეყნის ბედი ჭკიდია, რუსის მთავრობის ხელშია, მადი რუსულად ასასს დაუწყებ ჩვენს გასაჭირს, იქნება ამით ვისმე ვარგო მოქი. ბევრი კითხვები ადმიძრავს ამ ნაირად. ვურავის ვერაფერს გამოძებნის ამ ნაშრომში ჩვენი ქვეყნისთვის ურგებს ან სასიოვათოს. მაინც რაკა ხიზნების, მფლობელობის მოწესრიგებას ვიკვლევდი მთავრობისთვის, ქართულმა მწერლობამ მიკიეთნა (1878 – 1880): ორად ჰყოფს ქართველობასა. სრულიად დავანებე თავი იმ კითხვებს, რომელნიც წოდებათა ურთიერთობას შეეხებოდნენ. სრულიად დავეყარეთ მოქმედების ფარგალი, ვეხებოდი მარტო იმ საქმეებს, რომელნიც არავის წინააღმდეგობას არ უნდა იწვევდნენ: გზებს, არხებს, ბორტებს, ვაჭრობას, მრეწველობას, ჯანმრთელობას, თვითმართველობას. ჩვენში ესეც არავის ეპიტნავა. „რა გვერანდველებთ — ეველა მსრიდამ მოისმოდა — ქვანახშირი, ნავთის საქმე, შავიქვა, რკინისგზა, მიწა-წყალი, ბანკები, ვაჭრობა, მრეწველობა, თვითმართველობა ვის ხელშია და რა მიმართულებისა არისო?“ ზოგს მარტო დედა ენაზე წერა ესმოდა, ზოგი მარტო იმას ითხოვდა თუ ბწკლების შუა ბოლიტიკის გაწვევას ამოიკითხავდა, ამაგი, ერთმა არ გადიოდა. მოელი თვეობით უნდა ესწავლა, ოფლი ედინა კაცს საქმის საჭვლეველად, სახსრის სახოვნად, და ათასს ამისთანა სიკეთეს ერთი ეოველად უბრალო ფეხის-წაკვრა აჭარბებდა. აზრს ვერ იგებდნენ ან განზრახ ასხვაფერებდნენ, და მთელი წლობით ციდს თუ შეცდომას იმეორებდნენ: „არსებულ წესწეობილებასთან შერიგება გაცხადია“, „ტიხომირავი აქოა!“ სხვა ჭკვა მათ ეურს არ ესმოდა, მღალადებელის ხმად რჩებოდა უდაბნოში.

დავფიქრდეთ ახლა. იმ დროს რომ ჩემსას გაეკრა და ეს საკვარამო კითხვები საბოლოოდ გადაგვწყვეტა, მოუხდებოდა, თუ დაუძლურებდა ეს ქართველობას? რა „ერთობა“ ეოფილა ჩვენში, 1905-მა გვაჩვენა. ჩემ რჩევას რომ აჰყოლოდენ 1871—1880-ში, სულ სხვა გავლენა ექნებოდა „განმათავისუფლებელ მოძრაობას“ ქართველობის ბოლიტიკურ ბედზე. ერთაზრეანს, ერთბანაკად მდგომს ერს რა არ გაუკეთდა? ჩვენ კი ამ ბსიხოლოგიურ ხანაში მევესიეთ და შევაკვდით, ერთმანეთი გაკაბათიდეთ. უურადღებას ვინდა მოგვაქცევდა? მტერ-მეზობელი ეველა იმას ლოცულობდა: „წამკიდებელო წაჭკიდე, ორივეს თავი წასწეკიტეო!“ მტრის გულისა გაგიხდიო, მიტომ რომ თავის დროზე ურთიერთობა ვერ მოვიწესრიგეთ.

რაგინდ მებრძოლი ტემპერამენტი მქონოდეს, რაგინდ მართალი ყოფილიყო, უნდა მოგრიდებოდი ახალთაობასთან ბრძოლას. ასეთ შეტაკებაში თვით კამაჯვებაც დამარცხებაა იმისთვის, ვინც ქვეყნის სიკეთეს ვირად თავმოყვარეობაზე მაღლა სთვლის. ახალ-თაობისთვის ამგვარი შეცთომა იმნაირადვე აუცილებელია, როგორც მოზარდ ბავშვისთვის სხვა-და-სხვა „ასაკის ენი“: კბილების ჭრა, წითელა, ყვავილი, ქუსლრუმა, ცუდ-ყვავილა, მათი ერთად ერთი წამალი დროა, სიცხის გამომნელებელი, სისხლის დამწმენდი ბოდვის, შფოთვის მომსპობი, ჭკუაზე მომგვრელი. როცა ერთი ამგვარიგე ჭირი—სენტიმენტალიზმი—ლესინგის დროს გერმანიას მოედო, ამ მოდგაწემ გარკვეულად დაინახა, რა ზიანი ეძლეოდა ამით მის დიად ნაშრომს, მის უბედურ სამშობლოს. მაგრამ მაინც გულხელი დაიკრიფა და ახალ-თაობასთან ბრძოლის ამოება გვამცნო. „ოცნებით დამთვრალ ჭაბუკნო—ამბობდა—ყურადღებითა, რჩეკით, წყრომით, ძალით ვერ შეაგრებინებთ მის იმედის სიფუჭეს. უნდა მის ნებაზე მიუშვათ. დაე თავად დარწმუნდეს საქმით, რომ ვერც ხტომით, ვერც ჩერჩით, ვერც ბღავილით მთვარე ციდან მიწაზე ვერ ჩამოსვენდებაო!“

არა თუ ბატ. ურიას, სისხლის-მსმელ მტერსაც არ ვუსურვებ ამისთანა ბედს, რომ ჯახით და გრძნობით სავსე ადამიანი იძულებული იყოს ცოცხლად თავი დაიმარხოს მომავლის სიყვარულისთვის, იმოდენად მძიმე და აუტანელია ეს მსხვერპლი. ხელს არავის ყუშლი, გზაზე არავის ფეღობები, არავის ოცნებას არ ვებრძვი, გულწრფელად ვნატრობ კიდეც: ღმერთმა ჭქონეს ჩვენმა ხბომ დათვი დაიჭიროს მეთქი, და ამ დუმილს, ამ თავის-კვლას არამთუ არავინ მიმადლის, პირიქით მაუგედრიან! ხმას ძალად რომ ამომაღებინებენ, უარესად მემდურიან. თავისას რით ამბობს, რატომ არ გვეთანხმებაო. თავისუფლების, დამოუკიდებლობის მცველები ვართო, იმის ნებასაც არ მაძლევენ გულში დამარხული მქონდეს საკუთარი აზრი. უნდათ, მეც ისეთ მზვრად მაქციონ, რომელიც ბრბოს ფეხის ხმას მიზდევს, იქნება წინამძღვრად ჩაკითვალოო.

ნურას უკაცრავად: სამსახურს თამაშად ვერ გავხდი!

ძირეული შეცდომა ბატ. ურიასი, როგორც მთელი მისი პარტიისა, სოციალისტ-ფედერალისტებისა ის არის, რომ მ.თი პოლიტიკური მოაზრება შეტაფიზიკაზეა აშენებული. აიხირებენ რადაც სურვილს, საკუთარ გემოვნებაზე არჩეულს, და რომელსაც მოიწონებენ—„პრინციპს“ არქმევენ, ხატად იქცევენ, თაყვანს სცემენ. დარწმუნებული არიან, ეს თალისმა ეოველთვის, ეოველგან, ეოველ შემთხვევაში ერთნაირად ასწყალს მოახდენსო. რეალურ პოლიტიკას კი არც ერთი ამგვარი ავგარიზი არ სწამს და ეს ძველთა ძველი რწმენა დიდი ხანია არხიეებში დაუმარხავს, როგორც გამოუცდელი კანების ბავშვები შეცდომა. ავტანომიას, რესპუბლიკას უარყოფენ. ამის თქმა ამტკიცებს მის ერთიან ჩამორჩენას, თანამედროვე მეცნიერებისგან. განა პოლიტიკაში შესაძლებელია ან უარყოფა, ან ახირება? სწორე ცოდნას ადარც ერთი საშუალება არ მიაჩნია ისეთ „ცხოვრების ელექსირად,“ „ფილოსოფიურ ქვად,“ რომლის მიკარება ეველაფერს გურნაყს ან თქრიდ აქცევს. გინიერ ექიმს ჭკითხეთ, აბა: ქინაქინას უარყოფთ, თუ თაეგანს-ცემთ-თქო? შებრალებით შემოგხედავენთ, და იმ კილოთი, რომლითაც თოთო ბავშვს რასმე უხსნიან, გიხსნეთ ზოგიერთ ავადმყოფობას უხდება ხოლმე, ზოგს სხვას სწეენს, ზოგისთვის საწამლავიც არისო! მიდით ინჟინერს ჭკითხეთ ურიაზე რა შეხედულობის ბრძანდებით თქო? მოგიგებთ: მარჯვე ფასტალის ხელში კაი მოგეცესთ, კარგი იარაღია, მაგრამ ბალდს თუ სატელქოდ გაუხდა, თავსაც გაურეჯგესო. ომის კაცს, დიპლომატს მიმართეთ: ბრძოლას რა თავლით უეურებთ?—ფანიერისთვის, დაიარადებულისთვის ნინებული საშუალებაა ხანდ-ხან; სუსტისთვის კი—მტრისს იეოს ავია. ვინც ძალის უქონლად ძალას ხმარობს, ძალითვე წაწყდებაო.

რეგოლიუციასაც ამგვარათვე სჯის ოსმალეთი მეტნიერება. მშვენიერი ადმტაცი, ამშენებელი მოგლეხა იეო 4 სექტემბრის 1870 წლის რეგოლიუცია საეერანგეთში. ქვეყნის დამლუპავი მართებლობა ექვსი საათის განმავლობაში ნაგავიეთ მოხვეტა ხალხმა, და მის მაგიერ იმ წამსვე ახალი დაადგინა, რომელსაც მთელი ერი, რჯულის, მოდგმის, წოდების, პარტიების განურჩევლად, გაჰქეა, როგორც ერთი ადამიანი. ასე მოხდება ხოლმე, ს

თავისი ძალა საერთაერთო ბრძოლაში უნდა დაღვრილ-ის. ამგვარ ქვეყანას რევოლიუცია არა თუ არას რგებს, ერთიანად დუშავს. ამაგე მდგომარეობაშია სპარსეთი და თვით ჩინეთის რესპუბლიკაც. რომელსაც ბ. ერო ცხვირში მზრის ავტონომიის სიკეთის საბუთად. ეს რესპუბლიკა ჯერ არ დაარსებულა, და ალმოსავლეთით მანჯურია დაკარგა ჩრდილოეთით—მონგოლია, სამხრეთით ტიბეთი, დასავლეთით—კულჯა. ზღვის გაღმა კი, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში, რესპუბლიკამ თავისი ქვეყანაც გაბედნიერა, ხალხიც გაამდიდრა, კეთილრეობაც აამაღლა ასე, ჩემო მანასე, ხან ისე და ხან ასე ხარობს ეველაფერი ქვეყნიერებაზე. თილისმა ოცნებად გამოდგა.

აი ამ ორი მოაზრების წინააღმდეგობაზე—თილისმის მორწმუნეს და თანამედროვე ცოდნას შუა—დამყარებულია ბ. ერის გაუგებრობა ჩემი ბოლიტიკური მსოფლმხედველობისა. სწორი ცოდნის მიმდევარს, რაგორ შემეძლო ბრძოლის, ავტონომიის, რევოლიუციის ან რომელიმე სხვა საშუალების უარეოფა? მე რომ დავწერე: „საქართველოს და რუსეთ-ნეის კუნძულს ერთი და იგივე წეს-წეობიდება არ მოუხდება“ მეთქი? ეს მხოლოდ შედარებით კვლევაა იმისი, თუ რაგორ მოუხდება ეს წამალი ჩვენს აგებულობას და ავად-მეოფობას, რუსეთ-ნეის ეველა გარეშე მტერებისაგან თავის დასაცველად წელიწადში სამი მანეთი ბეოფინის, დროშის და მისი ამწევი თოკის საცველად. მას დიდი, უსაზღვრო ოკეანე იცავს ეველა მხრით. საქართველოს კი რა უჭდებოდა ეს საჭირეება, მის თვით-არსებობის მატიანეს მოვკითხეთ. იქ ნახავთ, რომ ჩვენი ერის ძალა და ქონება ვერ აუვიდა ამ გასაჭირს. ეს ზარატუშტრას ნაბოდავი კი არა, ისტორიული ფაქტია. ათასნაირად შეიძლება მისი დამტკიცება: ზეპირით, კვლევით, ანგარიშით, შედარებით, ნაამბობით, ნაწერით. ვინ გაიქარწყლებს ამ ცხოვრების დასკვნას, ამ სინამდვილის ნაყოფს, ცარიელი „არ მინდა“, „მირჩევნია“, „მოვითხოვ“-ით? მოგახსენოთ, „მოთხოვნებზე“ რას ფიქრობს მეცნიერება? მოთხოვნა ქვეყანაზე მაშინ მიიღებოდ ბატიეცებაში, რაცა, უარი რომ გითხრან, ძალით შეგეძლებოდ ნათხოვნის მიღება. ამის გამო სანამ სურვილს გამოსთქვამდე, აწონ-დაწონილი უნდა გქონდეს თავისი და მოპირდაპირის გარეშოება, რომ სირცხვილში არ ჩავარდე, რაც გაბადია, ისიც არ დაკარგო. ცოტა მომთხოვი გვინახავს, განა, ეთქვას, ნეტა მიწა გამსკდომოდა, და ხმა არ ამოშედოო? შორს რომ არ წავიდეთ, აბა ბათუმელ მეშებს მოვკითხეთ, ნავთის ქარხნებში რომ მსახურებენდენ, მოგებული დარჩა თუ დაქცეული ჩვენი მხარე მათ წინდაუხედავ მოთხოვნებისგან. ეს ბაწია მაგალითი მოშუავს, რომ უდიდესი გული არ გაგიხეთქოთ, თორემ უცრემლოდ ვერც მე შემძლებია შეკითხა: რაც ამ უკანასკნელ წლებში „მოთხოვნათაგან“ მსხვერპლი მეყოფილეთ, იფარება, ვითომ, ნამოგებთ ამ-ნამოგების მეტი განა მექთადაც არ გვეძლეოდა? ის მსხვერპლი რომ გონიერად გვეხმარა, განა დღევანდელ გასაჭირში ვიქნებოდით? ან ვის არგო ჩვენმა მსხვერპლებმა: წინ სვლას თუ შავრაზმელებს?

მხეცისაგან ადამიანი მით ირჩევა, რომ ანგარიშს სწვევია. ხარჯს შემოსავალს ადარებს. საქმის დაწყებამდი ცდილობს წარმოიდგინოს მისი ავი და კარგი. წიწილისთვის ხარს არ გასცემს. გონიერი ადამიანის ამ მარტივ თვისებაზე დამყარებულია ახლანდელი მეცნიერული ეკონომია და ბოლიტიკა. უწინ სხოლასტები ქვეყანას რომ ათხრებდნენ, ხალხს წყვეტდენ, ოდონდ კი ეიძულებინათ ორი თითის მაგიერ სამით ეწერა ბირკვარი; ახლა ასეთ ფუჭ „ბრინციპებს“ ადარავინ სწირავს ადამიანის სიცოცხლეს, თუ თავისუფლებას ბირდაბირი, რეალური სარგებლობა არ უძევს. ის ხანა გაქრა გონიერ ქვეყნებისთვის, რაცა ცარიელი ოცნების გულისთვის ძმა ძმას ებრძოდა. საარაკო მისათითებლად გაუხდა კეთილრეობას ბიზანტიელების დაბრმავება. ერთმანეთის დოგმატებზე რომ ედავებოდნენ, იმას კი ვერ ხედავდნენ—მაჰმადიანები ჯიშკარზე საიერიშოდ ადგან. დრაა ჩვენც ავიხილოთ თვალი სინამდვილეზე. სიბრძნის თვალთმაქცობისგან თავი ვიხსნათ, იმას გარჩევა ვისწავლოთ, თუ ჩვენს გარშემო რა ამბავია, რა ნამდვილი წამალი უშველის ჩვენს ჭირს? თვალ-უწვდენელ ოცნებას ეს მტირე ამაგი სჯობია.

(შემდეგი იქნება).

ექსპრომპტი*)

მსურს ჩემი ლექსი იყოს ყვავილი,
მწარე ოხვრაში ამოფეთქილი,
ჩემივე გულის ცრემლით გაზრდილი,
ჩემივე გულის ცრემლით შექმნილი;
მსურს ჩემი ლექსი ჰგვანდეს მზის სხივებს,
ჰგვანდეს წყვდიადში მბრწყინავსა ვარსკვლავს,
მაშინ ამ ლექსით მე შევამკობდი
მამულიშვილის ღირსეულ საფლავს!..

ი. მჭედლიშვილი.

*) წაკითხული ვახტანგ ორბელიანის „დილაზედ“, რომელიც მოაწყო „ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“.

ქ რ ო ნ ი კ ა

ახალი კოოპერატივები

სოფ. საგარეჯოში მღ. რცხილაძის და სხვათა ინიციატივით წარსულიწლის შემოდგომიდან დაარსდა კოოპერატიული დუქანი, რომლის საქმეებმა უკვე მიიზიდეს 50 წევრზე მეტი, თითო თუმნიან პაით.

საქმე იქიდან დაწყობილა, რომ ადგილობრივ მოვაჭრეს—მთვარაძეს, რომელსაც მაღაზია ჰქონია თბილისშიაც, თავისი დუქანი და სავაჭრო, დაფასებული 125 თუმნად, გადაუცია ამხანაგობისათვის, როგორც მეპაიეს. ამას დამატებია 25 თუმნად ღირებული საქონელი მეორე ადგილობრივ მოვაჭრესი, ქურდიანისა, რომელიც აგრეთვე ამხანაგად შესულა და ამას გარდა პირადი მუშაობით და გამოცდილებითაც შველის ვაჭრობაში. წევრების 50 თუმანთან ერთად მთელი თანხა 200 თუმანია. ამხანაგობის საქმე კარგად მიდის, უსურვებთ წარმატებას და მოშორებას იმ წვრილმალ უთანხმოებისას. რომელიც აღიძრა თურმე უბრალო გაუგებრობის მიზეზით.

ავტოკეფალიის გაუქმების წინამორბედნი

სოფ. იკოთში (გორის მაზრა), საცა 200 კომლი ქართველია და არც ერთი სხვა ეროვნებისა, როგორც გვაცნობებენ, დაუნიშნავთ ამას წინად რუსი მღვდელი, რომელმაც ინჩი არ იცის ქართულისა. სამწყსოს და მწყემსს არა ესმით რა ერთმანეთისა და თვითონ მღვდელს უთხოვნია, საცა ჯერ არს: გადამიყვანეთ სადმე, ვინაიდგან ყოვლად შეუძლებელია ასეთ წვალებაში ყოფნაო. სასულიერო უწყებიდან მოსვლია: აღასრულეთ ვალი უფლისა და ბრძანებელისა თქვენისა, ვიდრე დაჰკარგავდეთ... ადგილსაო. მღვდელი იძულებულია თურმე აღსარებაც კი მთარგმნელის საშუალებით ათქმეინოს მლოცველთ.

ამაზედ შორს სადღა წავა გათელვა ადამიანურ ღირსებისა?

საგიმნასტიკო დილა

4 მაისს თბილისის სათ.-აზნ. გიმნაზიაში გაიმართა საგიმნასტიკო დღესასწაული. საზოგადოება დიდძალი დაესწრო და მეტად კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა. წმინდა ჰაერზედ ყოფნამ, ლაზმა გიმნასტიურმა ვარჯიშობამ, რაღაც ცოცხალი სიო შეიტანა საზოგადოების ჩვეულებრივ მოლლილობაში და ყველანი გრძნობდნენ ცოცხალს, გულწრფელ სიმხიარულეს.

შეგირდების მწყობრი თამაშობა, სხვა და სხვა ვარჯიშობა ჯგუფობრივ და ცალ-ცალკე—სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა და კიდევ ერთხელ ამტკიცებდა, რომ ასეთი ვარჯიშობანი, თვალისთვისაც და ჯანისთვისაც მეტად სასარგებლონი არიან. ჩვენს დაავადებულს და მისუსტებულ საზოგადოებას ყოველთვის აკლია საღი სიცოცხლის ფერი, აკლია გულწრფელი სიმხიარულე, რადგან ფიზიკური განვითარება მუდამ არა მარტო მეორე-ხარისხოვანად მიგვაჩნია, სულ უკანაც ვაყენებთ.

შავარდენთა გუნდები, რომლებიც ეხლა მოეფინნენ ევროპას, ოლიმპიური თამაშის აღდგენა ინგლისში და შვეიცა-ნორვეგიაში, სხვა და სხვა გვარ სპორტის გამრავლება ყველა ქვეყნებში ნათელ ჰყოფს იმ ფორმულას, რომელსაც ქადაგებდა ძველი რომი: anima sana in corpore sano და ჩვენც გვმართებს ყურადღების მიქცევა ამ საგანზედ. კარგი იქნებოდა, რომ არა მარტო შეგირდებს, არამედ ჩვენს ახალგაზრდობასაც ასწავლიდნენ გიმნასტიკას, რადგან მოკლებულნი ყოველს ფიზიკურს ვარჯიშობას, იგი მახინჯდება სულიერადაც.

ილია ჭავჭავაძის დღე

5 მაისს არა ჩვეულებრივი მოვლენის მოწმენი ვიყავით: მხცოვანი მამა-დავითი ათასობით იკრებდა ქართველი ერის შვილებს, რომ მათთან ერთად ეგლოვა დიდი ილია; ეგლოვა ის, ვინც უკვდავი ჭურჭელი იყო სამშობლოსი, ვინც სიყვარულით შეალია თავისი ძალა და ნიჭი, თავისინი ცოდნა და გრძნობა სამშობლო ერსა; ეგლოვა ის, ვინც საოცარის სილამაზით და ძალითა თვისით, თვით ბუნებას ეჯიბრებოდა და თავის ლექსით -სურათით თვალს აგვიხელდა მისსა სიდიდეზედ; ეგლოვა ის, ვინც შეგვაყვარა ჩვენი სამშობლო იმით კი არა, რომ იგი ჩვენია, არამედ იმით, რომ ფასი დასდო, რომ განძთა აღმოჩენაში, თვით განძად იქცა საუკეთესოდ.

გლოვობდა ყველა, მაგრამ ამ გლოვაში აღიმართებოდა ძეგლი უხილავი ჩვენი ერთობისა, ძეგლი სამარადისო, რომელსა ექმნა კავშირად თვით წმინდა სისხლი...

ილია მოჰკლეს... განაღა სიტყვა დაერთვის ასეთს საზარელს, გულის მომწყვლელს, გონების შემრყეველს..?

ილი მოჰკლეს, მაგრამ ამ სიკვდილით იგი უფრო გაცოცხლდა ჩვენს გულში, რადგან თვით ჩვენ გაგვაცოცხლა სიცოცხლისათვის და ერთ-გრძნობაში, ერთ-აზროვნობაში დაგვანახვა ჩვენი ძალა.

ასეთს ადამიანს, რომელმაც ესოდენ ღვაწლი დასდო სამშობლო ერსა, რაღა თქმა უნდა, ვერ აუგებდით, ჩვენს ყოფაში ჩავარდნილნი,—შესაფერს ძეგლსა. ძეგლი ესე—სიმბოლო ჩვენის ულრმესი მწუხარებისა, ამასთან მაჩვენებელიც უნდა იყვეს იმ ღრმა გრძნობისა, ეროვნული შეგნებისა, რომელიც იმედად კი აღარ ბჟუტავს, არამედ სახიერდება, ხორცს ისხამს და წინ მიისწრაფვის...

გრძნობას მწუხარებისას უნდა დაჰქათქათებდეს იდეა მომავალით სიამაყისა... უნდა...

მაგრამ ახალგაზრდა ხელოვანმა თავს იდვა ტვირთი თავშეუდებელი.

ჩვენს ნიჭიერს „პირველ მოქანდაკეს“ ნიკოლაძეს თავისი გრდემლი და საკვეთი პირველად იქ არ უნდა ეცადა, საცა ვერ შესწვდებოდა: სადაც შემოქმედების მდევნი სახლობენ, იქ ძეგლთ აგებაც მათებრ ბრწყინვალე მუშაკთ ვალია...

არ შეიძლება მექანდაკეობის საფუძვლის პირველ ქვად დაიდვას ძეგლი ილიასი, როდესაც იგი ღირსია გვირგვინი იყოს შემოქმედების... მაგრამ...

ძეგლი—გულია კაცისა და თუ ჩვენ გულს არ აკმაყოფილებს ძეგლი აგებული, იხაროს ილიამ, რომ შვილნი მისი ერისა ვერ დაკმაყოფილდებიან ვერც ერთის ძეგლით ხელმქნილით: მისი ძეგლია... „სამარადისო ნეტარ ხსენება“.

———

იმავ დღეს, როცა ჯერ კიდევ ვერ გამორკვეოდა ხალხი სამგლოვიარო ზეიმს, ქართულ თეატრში მოიყარა თავი აუარებელმა საზოგადოებამ, რომ კიდევ და კიდევ პატივი ეცა ილია ჭავჭავაძის ხსოვნისათვის.

მე არ შევჩერდები დაწვრილებით მთელს პროგრამაზედ, რომელიც საინტერესოდ იყო შედგენილი; მინდა მხოლოდ ორს გამოსვლაზედ შევჩერდე: ბ-ნ სულხანიშვილის ხოროსა და ბ-ნ რობაქიძის ლექციაზედ. ბ-ნი რობაქიძე ფრიად ნიჭიერი და მჭერმეტყველი ორატორია, მაგრამ მის სიტყვებში უფრო მეტი მხატვრული სილამაზეა, ვიდრე შინაარსი.

ესეთი სიტყვა ეგებ კიდეც შეეფერებოდეს ვინმე მხატვარს, ან ლირიკულ-ფილოსოფიურ პოეტს, მაგრამ ღრმა **მოაზრე** ილიას არ შეეფერება და ბ-მა რობაქიძემ, როგორც პოეტმა, უნდა იცოდეს, რომ, თუ პოეზიაში აუცილებლად ფორმა უნდა შეეგუოს შინაარსს, მით უმეტეს სიტყვა უნდა ეგუებოდეს იმ საგანს, რომელსაც შეეხება. საქმარისი არ არის მხატვრულად გამოიხატოს სურათი ი. ჭავჭავაძისა, თუ თვით ამ სურათში დაცული არ არის სული და გამომეტყველება დედანისა. ბ-ნ რობაქიძის სიტყვა კი იყო ფილოსოფიურ-იმპრესიონისტული ხატება, თუ ითქმის ასე, ეს იყო ხელოვნური, მხატვრული ქანდაკება...მაგრამ შიგ კი არა ეყარა რა. ასეთი სიტყვა შედეგრად ჩაითვლებოდა ვინმე ფუქსავატ ლირიკოსის, გრძნობიერ მწერლის, იმპრესიონისტ მხატვარის ძეგლთან, მაგრამ ყოველს აზრს ჰკარგავს იქ, სადაც თვით სიტყვა—ილიას შემოქმედებაში—იქედებოდა, ფოლადივით ჰკვეთდა სიღრმით შინაარსისა და რეალიზმით... ვინაიდგან, ჰეინესი არ იყვეს, სიტყვა დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, თუ **ვინ** ამბობს, არამედ იმაზედაც, თუ **ვიზედ** არის ნათქვამი. ილია ჭავჭავაძე კი ის არ არის, ვინც ლამაზ სიტყვისთვის აზრს შეასუსტებს.

ამიტომ ბ-ნ რობაქიძის ლამაზმა სიტყვამ მოხიბლა საზოგადოება, ალტაცება გამოიწვია, მაგრამ შინაარსის მხრივ კრიტიკას ვერ უძლებს.

მეორე თვალსაჩინო გამოსვლა იყო ბ-ნ სულხანიშვილისა, რომლის ორიგინალურ ხოროს ყოველთვის ალტაცებაში მოჰყავს საზოგადოება. ბ-ნ სულხანიშვილის განსაკუთრებულ თვისებად უნდა ჩაითვალოს—ხატვრობითი მუსიკა. იგი იღებს ხალხურ სიმღერებს და ისე აყალიბებს მათ ხოროს საშუალებით, რომ თვალწინ გეშლება თვით ის სურათები ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხისა და მოვლენისა, რომელსაც შეეხებიან.

ამ მხრივ სამაგალითო იყო ი. ჭავჭავაძის საღამომედ შესრულებული სიმღერა „გუთნის დედა“.

თვით სიმღერაში, მის ასავალ-დასავალში, მის ორიგინალურ შეხამებაში უბრალო ლაპარაკსა და შემოძახილებთან, იკვეთებოდა მთლიანი სურათი ჩვენი გუთნისა, რომელსაც 7—8 უღელი ხარკამეჩი მძიმედ მიათრევს, გუთნის დედა და მეხრენი ერთმანეთს და ხარებს ამხნევებენ ჟივილ-ხივილით, სიმღერით და ლელოც გააქვთ ბოლოში.

თვით სიმღერის იერში ნათლად იხატება ის მომენტები, რომელნიც **სცვლიან** სურათებს: დაწყება ხვნისა...ბელტის მოჭრა...მძიმე-მძიმე სიარული და ალტყინება ძალთა, ბოლოს გასვლისას...მობრუნება გუთნისა და სხვა...

მაგრამ ამ მხატვრობასთან ერთად, შესამჩნევი ნაკლებიცა აქვს ბ-ნ სულხანიშვილის ხოროს: ჯერ ერთი ასეთი ორიგინალური ხოროსათვის, საცა ინდივიდუალურ მოძახილებს ბუნებრივად და მხატვრულად დიდი ადგილი აქვთ დათმობილი, უეჭველად ნაცადი, კარგი ხმები უნდა ჰყავდეს შერჩეული; მეორეც, სიტყვები სიმღერისა ზოგჯერ ვერ ეხამებიან თვით ხმათა სიგრძე-სიმოკლეს და დისონანსს ჰბადებენ.

სხვა განყოფილებანი ილიას საღამოსი ჩვეულებრივზედ უკეთესად იყვნენ შედგენილნი და ხალხი დიდის კმაყოფილებით დაიშალა.

რაე.

ჭირიანი ქათამი

ოდესლაც ბატებმა რომი იხსნეს.

ეხლა ისტორიულ სარბიელზედ ქათმები გამოვიდნენ და ლამის იხსნან სოლოლაკი.

ვამბობთ ლამის, რადგანაც ქათმების ომი ჯერ კიდევ არ გათავებულა.

მოხდა კი ასე:

სოლოლაკის ქათმებმა რომ გაიგეს—საბურთალო საომრად ემზადებაო შეიყარნენ მთავარ საქათმეში, ოომელსაც სხვა სახელიც ეწოდება:

თბილისის თვითმმართველობა!

შეიყარნენ და დიდხანს იკაკანეს!

ჰკენკეს საკენკი, იკაკანეს, დადეს კვერცხები და დაადგინეს:

გაიგზავნოს საბურთალოზედ ერთი ჭირიანი ქათამი, რომ საბურთალოს ქათმებს ციებ-ცხელება შეჰყაროს.

დიდხანს არჩიეს და ასეთი ჭირიანი ქათამიც იპოვეს—ჭირიან ქათამს სხვა სახელიც ჰქონდა:

ხმოსანი ქანანოვი.

ხმოსანი ქანანოვი მომცდარი დედალი იყო, კვერცხებს დიდი ხანია აღარ სდებდა და ზედ ციებ-ცხელებაც სჭირდა...

ხმოსან ქანანოვს ისეთი ციებ-ცხელება სჭირდა, რომ ვისაც კი გვერდზე გაუვლიდა, უსათუოდ შეჰყრიდა ამ გადამდებ სენსა.

მეტადრე ქათმებს!

საკმარისი იყო ხმოსანი ქანანოვი გასტრონომიულ მაღაზიაში შესულიყო და უკვე ყველა დაკლული დედალი ციებ-ცხელებით კვდებოდა.

ძეხვები ლპებოდნენ!

შემწვარ ინდაურებს აციებდათ!

ერთის სიტყვით, წვრილ-ფეხობას მუხრს ავლებდა. და აი ასეთი ჭირიანი ქათამი გაგზავნა სოლოლაკმა საბურთალოზედ, ციებ-ცხელების გასავრცელებლად...

როგორც კი ქანანოვი საბურთალოზედ გაჩნდა, ქანდარებმა რაღაცა იგრძნეს.

ზოგმა ქათამმა ველარც კი გაიღვიძა და პირდაპირ ძილშივე მოკვდა.

ზოგმა გაიღვიძა, მაგრამ ყველას აზმორებდა.

ქათმებმა ფრთებში ტერმომეტრი ამოიდეს...

— ორმოცი გრადუსი!...

— ოცდა ცხრამეტი!

— ოცდა ცხრამეტი და ცხრა მეათედი!

სუყველას სიცხე ჰქონდა, ყველას აციებდა

დაიწყო ჭირი

ქალაქის ერთი „სწრაფლ-მაშველი ეტლი'' ვერ ასდიოდა ჭირიან ქათმებს.

ავადმყოფი ქათმები ნავთლულში მიჰყავდათ.

ყველამ იცის რომ იქ კარგი ჰაერია

პოლიტეხნიკუმისთვის გამზადებულ ადგილზედ, ავადმყოფ ქათმებისთვის ,,ბარაკები'' ააგეს.

ხატისოვმა ავადმყოფ ქათმებს ყუათის მიმცემი სიტყვა უთხრა, მაგრამ ტემპერატურამ უფრო აიწია.

მალე საბურთალოდან ცნობა მოვიდა, რომ აღარც ერთი საღი ქათამი აღარ იყო იქ და ყველა ციებ-ცხელებას შეეწირა მსხვერპლად

ქანანოვი კი დადიოდა და კაკანებდა:

— ესეც თქვენი პოლიტეხნიკუმი! არც ეხლა დაიჯერებენ, რომ საბურთალო ციებ-ცხელებიანია და პოლიტეხნიკუმისთვის გამოუსადეგარი?..

ფარსმან-ფარუხი.

ქართლ-კახეთის თავ.-აზნაურობის საქმენი*)

II

წინა წერილში გაკვრით შევეხე საადგილ-მამულო ბანკს და საადგილ-მამულო კომისიას, მაგრამ მათ ისეთი დიდი მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნოთ, რომ მათზე ლაპარაკი არას დროს მეტი არ არის.

*) იხ. „კლდე" № 19.

სადგილ-მამულო ბანკი ის წყაროა, რომელიც თითქმის ერთად ერთი რწყავს ქართლ-კახეთის კულტურულ ყანებს; იგი ინახავს სკოლებს, უხვად ეხმარება სხვა და სხვა საზოგადოებათ და უკანასკნელ დროს ეკონომიურ აღორძინებასაც სცდილობს თითქო, ანგარიში გაუწიოს. მაგრამ, რაკი ბანკი წმინდა ფინანსიური დაწესებულებაა და მოქმედობს განსაზღვრული წესდების მიხედვით; რადგანაც მის წესდებას არა აქვს ეროვნული მიმართულება და ხელძღვანელობს მარტოოდენ ბანკის ინტერესების თვალსაზრისით,—ამიტომ მას გვერდში უნდა ამოუყენოთ ისეთი მაშველი ორგანო, რომელიც, თუ არ გაასწორებს სავსებით ამ ნაკლს, შეასუსტებს მაინც მის სიმკაცრეს.

ბანკის დამაარსებელთ დიდებული აზრი ჰქონდათ, რომ ხელმისაწვდომ კრედიტით მიშველებოდნენ ჩვენს მეურნეობას, მაგრამ მხედველობაში არ მიიღეს ჩვენივე უკულტურობა. ის ფული, რომელსაც მემამულე იღებდა ვალად, იმის მაგიერ რომ მოხმარებოდა მამულის გაუმჯობესებას, იხარჯებოდა უთავბოლოდ და დაგირავებული მამული რამდენიმე წელიწადზედ იყიდებოდა. ერთხელ ასე დაყენებულ საქმეს, მეტად ხელს უწყობდა ჩვენი თავ.-აზნაურობის მოუმზადებლობა მამულის მუშაობისათვის და სიყვარული ფუქსავატ ცხოვრებისა.

ყველა ამ მიზეზმა და ბევრმაც სხვამ, რასაკვირველია, მიგვიყვანა იქამდის, რომ ჩვენმა თავ.-აზნაურობამ 40 წლის განმავლობაში გაჰყიდა ჩვენი მიწები სრულად, ან ისე დაავალიანა, რომ ყოველ დღე ეყიდება და უცხოთა ხელში გადადის. რეალურად აი რა მოუტანა ქართველ ერს საადგილ-მამულო ბანკმა; და ტერიტორიის გაყიდვის ფასად თუ წელიწადში რამდენიმე ათას თუმანს ახმარებს კულტურულ საქმეებს—ჩვენ გვიხარია და გვგონია, რომ საქმეს ვაკეთებთ. ეროვნულის თვასაზრისით ეს კრილოვის ლენერალს მოგვაგონებს, რომელიც მართავდა წვეულებას, ხარჯავდა საცხოვრებელს და მერე გულმოდგინეთ აქრობდა დარჩენილ სანთლებს: ეკონომია არის საჭიროვო.

ჩვენს საადგილ-მამულო ბანკს გაუცრუვდა იდეები, როგორც ბევრს სხვას გაუცრუებს ხოლმე ცხოვრების პირობათა უცოდინარობა, და იმის მაგიერ, რომ სამსახური გაეწია ერისათვის, თვით იგი მოისამსახურა: თვითონ გასუქდა მისი ხარჯით და ნასუფრალიღა გაუბოძა ქველ-მოქმედურად »კულტურულ საქმეებს“.

ასეთი მდგომარეობა ვერ ჩაითვლებოდა ნორმალურად და ბევრჯელ შეეცადა თავ.-აზნაურობა გამოენახა რომელიმე კორექტივი. ბანკისავე მოგებიდან გამოჰყვეს სამეურნეო თანხა, რომელიც უნდა მოხმარებოდა სოფლის მეურნეობის აღორძინებას, მაგრამ ეს თანხაც, მოუვლელობის გამო, ისეთ საქმეებზედ იხარჯებოდა, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ არც მეურნეობასთან, არც იმ ტერიტორიის შერჩენასთან, რომელსაც ბანკი გვაცლის ფეხქვეშიდან.

მხოლოდ ბოლო ხანებში, როდესაც განვლილმა მოძრაობამ გამოიწვია საშინელი აჟიოტაჟი მიწისა და კრიზისი ყველასათვის თვალში საჩხერი შეიქმნა, დაიბადა აზრი სამეურნეო თანხის რაციონალურ მოხმარებისა.

ამ მიზნისათვის დაარსდა დეპუტატთა საკრებულოსთან საადგილ-მამულო კომისია, რომელიც უნდა დახმარებოდა უმიწობით შეწუხებულ ადგილობრივ მცხოვრებთ და ეშუამავლა გამყიდველსა და მყიდველის შორის.

რასაკვირველია, ამ კომისიასაც, როგორც ახალ საქმეს, თავისი ნაკლები ჰქონდა და ჯეროვანად ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას, მაგრამ მაინც თვალსაჩინოდ შეუწყო ხელი ადგილობრივ მცხოვრებთ მიწის შეძენა-გამაგრებაში.

უმთავრესი ნაკლი ამ კომისიისა იყო და არის, რომ იგი შეზღუდული იყო თავის მოქმედებაში დეპუტატთა საკრებულოსაგან და თავისი ინიციატივით ვერაფერს აწარმოებდა. საადგილ-მამულო კომისია, იმის მაგიერ რომ ფართოდ დახმარებოდა უფრო ჯანსაღ ელემენტებს, იძულებული იყო მხოლოდ სათათბირო ხმით შესულიყო დეპუტატთა საკრებულოში და მისი სურვილები აესრულებინა.

მეორე ნაკლი ის იყო, რომ თავ.-აზნაურობის მიერ არჩეული კომისია მეტად დიდი გამოდგა (18 კაცი) და მუყაითად ვერ მუშაობდა.

აი ეს უმთავრესი ნაკლები რომ შესწორდეს, საადგილ-მამულო კომისია რომ მეტად დამოუკიდებელი გახდეს თავის მოქმედებაში და მისი ორგანიზაცია გამარტივდეს,—იგი შეიძლებს განავითაროს თავისი მოქმედება და დანიშნულებას მიაღწიოს.

როგორც დანამდვილებით ვიცით, ასეთი პროექტი რეორგანიზაციისა, რომელიც უკუაგდებს დასახელებულ ნაკლებს, უკვე შემუშავებულია და გადაცემული განსახილველად დეპუტატთა საკრებულოსათვის.

თავ.-აზნაურობის კრებაზედაა დამოკიდებული,

გაამაგრებს საადგილ-მამულო კომისიის სალსა და რეალურ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ საფუძველს, თუ ისევ ისეთ უნუგეშო მდგომარეობაში დასტოვებს, როცა არსებული ორგანო საკუთარ ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს.

დეპუტატთა საკრებულო მოვალეა, ერთხელ და სამუდამოდ დასტოვოს ის გზა, რომელსაც აქამდის მისდევდა — არაფერი ხელიდან არ გაუშვას და **თითონ** განაგოს ყოველი საქმე. ასეთი წესი საშინლად აფერხებს ყოველ საქმეს, რადგან დეპუტატთა საკრებულო საკმარისად ვერც ასწრობს ანგარიშის გაწევას ყველა იმ რთულ და პასუხსაგებ საქმისას, რომელნიც დღითი-დღე იზრდებიან მის ფარგლებში. თავ.-აზნაურობას შეუძლიან თვალყური ადევნოს და მიმართულება მისცეს იმ თანხებს, რომელნიც შემოსდის ბანკიდან, მაგრამ თვით ამ თანხების წარმოება და ამოქმედება—უფრო სპეციალურ ორგანოების ხელში უნდა იყვეს.

ჩვენს დროში ალარ შეიძლება სახელმძღვანელო პრინციპად ქველმოქმედება ვიქონიოთ და უნდა შევქმნათ ისეთი დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომელნიც თავისი საკუთარი თანხებით იარსებებენ და განვითარდებიან. თავ.-აზნ. მხოლოდ საძირკველი უნდა ჩაუყაროს ასეთს ორგანიზაციებს, რადგან **ახლა** ერთად-ერთი დაწესებულებაა, რომელსაც ძალა შესწევს ამისათვის.

ამ მხრივ, საადგილ-მამულო კომისიის რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც მოუვიდა სხვათა შორის ჩვენს რედაქციასაც, ჯეროვანად აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მიზნების ერთ-ერთ მხარეს და, თუ საქმის გამგე პირნიც ღირსეულნი ავირჩიეთ, თანდათან ეს დაწესებულება შეიძლება მძლავრ იარაღად გადაიქცეს, რომელიც გვიხსნის ტერიტორიალურ კრიზისაგან, სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებებთან შეთანხმებულის მოქმედებით.

რ. გ.

გრიგოლ ორბელიანის წერილი *)

ჩემო ბატონო კნიაზო კონსტანტინე!

დიდის იმედებით თქვენის მოწყალებით მოხედვაზე წამოვიდა გასპაროვი ბაქოს, თქვენდა თაყვანსაცემლად და მოსაგონებლად თქვენგან აღთქმულისა ამისათვის ფოჩთმეისტროობისა.

ახლა აქაური ამბავი მოიხსენეთ:

ხარიტონოვი წწერს, რომ მთავარმართებელი ყოფილა ისპანიაში და იქ გადუყრია თავისი ჯოხები, რომელთა შემწეობით ფეხს ადგამდა და ახლა ისე დაიარება, როგორც უწინ. აპრილის დამდეგს მოველით იმის მოსვლასა თბილისს.

აპაჩინინის ქალი მაშინკა შეირთო ... —პუტეი სოობშჩენიისა **რეინ**. კნეინა ... ვერა დაინიშნა ნიკოლაი მირსკიზე; მაგრამ მეორეს დღესვე მოუვიდათ სამწუხარო ამბავი, რომ ამათი და **ლიზა** ბაშმაკოვისა მომკვდარა. მოკვდა საბრალო ივანე აბაშიძეცა; სწორედ მოგახსენო, დიდათ შევსწუხდი. ჩაჩანში და დაღისტანში დიდი მშვიდობიანობა არის; ხანდახან თოფის სროლა მოისმის აბაზეხელებიდამ, სადაცა თებერვალში შეიყრება ჩვენი დიდი ჯარი მათ დასასჯელად, და ზაფხულში უნდა დაასახლონ 24 სტანიცა ყაზახებისა, და ამ სახით სამს წელიწადს ის მხარე გახდება რუსეთად.

ეს ზამთარი ისე მიდის, რომ ნამცეცი თოვლი არ გვინახავს.

ბატონ-ყმობის საქმეს ძალიან გულ მოდგინებით შეუდგნენ და ვნახოთ ღმერთი და ბედი!

შესდგა ქალების საზოგადოება გლახაკების შესაწევნელად, და ესოდენი მოაგროვეს ფული, რომ თბილისში ოთხ ადგილას გამართეს ყმაწვილების შკოლა, სადაცა ასწავლიან წერა-კითხვასა და ხელსაქმესა. ამ ქალებმაც დაიყვეს ეს შკოლები ასე, რომ **კუკიას** არის ზედამხედველად ჩემი რძალი ბარბარე; კარკოვის ცოლი ზედამხედველობს **კალუჩიის ბალკაში;** კოლუბაკინის ცოლი **მთაწმინდის უბანში**, და ჩილაევისა მგონია **ავლაბარში** – შეხედე სადამდის წავიდა ჩვენი თბილისი.

გუშინ მივიღე პარიჟიდამ ეკატერინას დადიანისაგან წერილი და ნიკოს პორტრეტი; მშვენიერი ყმაწვილი კაცი დამდგარა! ამისთანა სილამაზე და პარიჟი! დიდი სიფრთხილე უნდა, რომ არ წაახდინონ.—მეორეს დღეს უნდა წამდგარიყო იმპერატრიცასთანა ცალკე აუდიენციაში.

ამ დღეებში მოველით ყიზილბაშის ელჩსა სტამბოლიდამ, რომელიც იყო წასული მისალოცავად ახლის ხონთქრისა ტახტზე ასვლისთვის.

გიორგი მუხრანსკის წიგნი მომივიდა; გაზაფხულამდის დარჩება პეტერბურღს და ისევ დაბრუნდება, რადგანაც იქ არ აძლევენ იმ ჯამაგირსა, რომელიცა აქ ეძლეოდა და ამის გამო ცხოვრება უჭირდება.—მე დიდად მიამა, რომ იმის პლანი პეტერბურღში სამსახურისათვის ჩაეშალა; საქართველოს უფრო ეჭირვება ამისთანა კაცები, ვიდრე რუსეთსა.

ღმერთი იყოს მფარველი თქვენი. ნუ დამივიწყებ მარადის შენს თავდადებით ერთგულსა და ბედნიერების მოსურნესა.

გრიგოლ ორბელიანი.

27 იანვარი 1862.
თბილისი.

*) მიწერილი კონსტანტინე თარხნიშვილთან, რომლის შთამამავალმა ნათესაობამ გადმოსცა ჩვენს რედაქციას.

რედაქტორ-გამომცემელი **რ. გაბაშვილი.**

!!40 ДНЕЙ БЕЗПЛАТНО!!

Если вы въ теченіе 40 дней не выучитесь свободно говорить, читать и писать по нѣмецки, французски, англійски и латински по нашимъ самоучителямъ, составленнымъ по новѣйшему методу (всѣ другіе реклама),

деньги возвращаемъ обратно.

Цѣна самоучит. одного языка съ перес. налож. платеж. 1 руб. 10 коп. 2-хъ 1 р 90 к., 3-хъ 2 р. 80 коп., 4-хъ 3 р. 65 к. Заказы исполняетъ единств. складъ для всей Россіи **С.-Петербургъ.** Петерб. стор. Большой пр., 56-1 **Я. К Петерсъ.**

1-е ЗАОЧНЫЕ КУЛИНАРНЫЕ КУРСЫ

Полный курсъ лекцій для самообученіе „скоромный и постный столъ", около 100 рецептовъ кушаній, напитковъ, печенья, компотовъ, вареній, сладкихъ блюдъ пироговъ и др. 300 стр. убористаго шрифта. *Цѣна* съ перес. нал. плат. 2 р. 60 к. НАСТАВЛЕНІЕ, какъ правильно вести домашнее хозяйство и приготовлять экономическіе вкусные и и питательные обѣды съ приложеніемъ разрѣзки мяса и украшеніемъ стола и блюдъ, около 100 стр. съ рисунками. *Цѣна* 1 р. 20 к. обѣ книги вмѣстѣ 3 р. 35 к. (можно марками) Съ заказами обращаться исключительно къ Я. К. ПЕТЕРСУ. С.-петерб. Петр. стор. Большой пр. № 56-1

ПОЛЬЗУЙТЕСЬ СЛУЧАЕМЪ

Поступили въ продажу по удешевленной цѣнѣ 3 большихъ тома около 800 страницъ. убористаго текста.

ПОСМЕРТНЫЯ

художественныя произведенія

геніальнаго писателя

Л. Н. ТОЛСТОГО

Высылаемъ съ пересылкой наложеннымъ платежомъ вмѣсто 3 р. 50 к. за 2 р. 50 к. или по полученіи всей стоимости, можно марками, заказы выполняетъ единственный складъ для всей Россіи.

СПБ., Пет. ст., Большой пр., № 56-1
Я. К. ПЕТЕРСЪ.

Въ настоящій моментъ кровавыхъ событій *въ Турціи* и на *Балканахъ* нѣтъ болѣе популярной и занимательной книги для чтенія, полной невѣроятныхъ любовныхъ и политическихъ интригъ и разоблаченій жизни мусульманскаго міра, столкнувшагося съ цивилизаціей Запада, какъ сенсаціоннѣйшій романъ

«ТУРЕЦКІЙ СУЛТАНЪ»

— ИЛИ —

„Тайны Константинопольскаго Двора"

популярнѣйшаго въ Европѣ романиста-историка

ГЕОРГА БОРНА.

Свыше 1.000 страницъ убористой печати большого формата на роскошной бумагѣ.

Въ виду ограниченнаго количества остающихся экземпляровъ этой занимательнѣйшей книги, предлагаемъ поспѣшить съ заказами на книгу, которая высылается НЕМЕДЛЕННО по полученіи 3 руб. (съ упаковк. и пересылкою) или налож. платежомъ при задаткѣ въ 1 руб. (можно почтов. и гербов. марками), безъ чего заказы не выполняются.

Всю корреспонденцію; денежную, заказную и простую надлежитъ адресовать:

С.-ПЕТЕРБУРГЪ

Петерб. Стор., Большой просп. **№ 56-1**

Я. К. ПЕТЕРСУ.

По удешевленной цѣнѣ!

ВРЕМЕННО РАСПРОДАЕТСЯ

Вмѣсто 10 руб. за 4 руб. 50 коп.; въ роскошномъ золотомъ тисненномъ переплетѣ 7 р. 50 к.

15 Томовъ больш. формата Полнаго собранія Сочиненій.

Гюи де-Мопассана

Имя Гюи де-Мопассана гремитъ славою не только среди соотечественниковъ, но и среди всего міра. Достаточно указать на отзывы *И. С. Тургенева и Льва Толстого*, чтобы судить о томъ высокомъ положеніи, какое Гюи де-Мопассанъ занялъ въ исторіи Всемірной литературы. Памятникъ воздвигнутый ему въ *Парижѣ* краснорѣчиво говоритъ о симпатіяхъ *французской націи*. Его произведенія разошлись разновременно болѣе *300 изданій* въ сотняхъ тысячъ экземплярахъ и *переведены на языки всѣхъ народовъ*. Сочиненія его особенно большой интересъ представляютъ теперь, когда такъ много говорятъ О ПОЛОВЫХЪ ОТНОШЕНІЯХЪ МУЖЧИНЪ и ЖЕНЩИНЪ. Въ его романахъ читатель найдетъ разрѣшеніе этого вопроса въ изображеніи *правдивой дѣйствительности*. Книги высылаются наложеннымъ платежомъ.

Задатокъ въ размѣрѣ 2 руб. 50 коп прошу выслать, можно марками почтовыми или гербовыми, безъ чего заказы не выполняются.

Единст. Складъ для всей Россіи С. Петербургъ Петерб. Сторона, большой пр. 56-1
Я. К ПЕТЕРСЪ.

მოითხოვეთ ყველგან

კოოპერატიული ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდია 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში. ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.

სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადალებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866½ დესეტინა ვენახი. საიდამაც უზიდავენ საზოგადოებას **ნამდვილ კახურ ღვინოს!**

ქალა ერთოგაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოება—გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მკვიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.

ელექტრო-მბეჭდავ სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა № 5.